საბა
საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე
№ 7
ივლისი
2006

რომი – სიყვარული
პაპი პოლონეთში
მამა აკაკი ჭელიძის ხელდასხმა
ბათუმელი კათოლიკეების ცხოვრებიდან
იუბილე ქუთაისში
ბავშვი დღევანდელ მსოფლიოში

რედაქციის გვერდი

რომი – სიყვარული

ქრისტიანთათვის, რომლებიც გრიგოლის კალენდარს მისდევენ, ივნისის თვე წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა დღესასწაულის აღნიშვნით დასრულდა; ხოლო ქრისტიანები, რომლებიც იულიუსის კალენდრის ერთგულნი არიან, ივლისის თვეში შეუერთდებიან "ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესის" ამ ორი სვეტის დღესასწაულს. ეს კიდევ ერთი დიდი შესაძლებლობაა იმ ეკლესიათა გაერთიანებაზე დასაფიქრებლად, რომლებიც მოციქულთა საერთო მოწმეობაზეა აგებული. ყველა ქრისტიანი ასხამს ხოტბას მათ, დიდ მეოხად და დღევანდელობაში უფლის კვალზე გასაყოლ ჭეშმარიტ ნიმუშად მიიჩნევენ. მათი გახსენებისას გონებით და გულით გადავდივართ მათივე წამების ადგილას, მათი დამარხვის ადგილას, მათი ცოცხალი ტრადიციის ადგილას – რომში. თუკი რომს ხოტბას ასხამდნენ და ადიდებდნენ იმპერიული დიდების, მისი ხელოვნების, მისი სამართლის გამო, არანაკლებ ეთაყვნებოდნენ და ადიდებდნენ მას იმ ახალი სარწმუნოების გამო, რომელმაც ფესვები მის გალავანს შიგნით გაიდგა. ნაცარტუტად ქცეული, უკვე დაცემული რომის ადგილას "ახალი რომი" იბადებოდა, დიდებული მოწამეების – პეტრესა და პავლეს – სისხლით შერაცხული და განწმედილი ქალაქი. შეგვიძლია ყური დავუგდოთ, როგორ ადიდებდა რომს პოეტი ვერგილიუსი მის მიერ აღვლენილ ოდებში, თუმც დიდი გულისყურით უნდა მოვისმინოთ ისიც, თუ როგორ მიმართავდა ახალ რომს წმიდა პავლე. მოდით გავიხსენოთ წერილიდან რომაელთა მიმართ: *"ყველას, ვინც რომში იმყოფებით, ღმრთის საყვარლებს, მოწოდებულ წმიდანებს – უპირველესად ჩემს ღმერთს ვმადლობ იესო ქრისტეს მეოხებით, რადგან თქვენი რწმენა იხარება მთელ წუთისოფელში"* (რომ. 1:7, შმდ.), და არც წერილის დასკვნითი ნაწილია დიდად განსხვავებული. საკმაოდ ცნობილია ანტიოქიის ეპისკოპოსის ეგნატეს მიმართვა რომის ეკლესიის მიმართ II საუკუნის დასაწყისში: *"ეგნატე, იგივე თეოფორედ წოდებული, ეკლესიას, საიდანაც მიიღო გულმოწყალება უზენაესი მამისა და მისი მხოლოდშობილი ძის, იესო ქრისტეს, განსადიდებლად, სხივფენილი და საყვარელი (ეკლესია), ნებითა მისითა, რომელმაც ისურვა ყოველი არსებული, ჩვენი ღმრთის იესო ქრისტეს სიყვარულით; (ეკლესია), რომელიც მკვიდრობს რომაელთა მხარეში, ღმრთით ღირსეული, პატივდებული, ღირსი ნეტარად წოდებისა, ღირსი სახელმოხვეჭისა, სიწმიდით შემკული, რომელიც სიყვარულში წინამძღვრობს, ქრისტეს სჯულის მაუნჯებელი, გამტკიცებული მამის სახელით".* ცნობილია ასევე

II საუკუნის ეპიტაფია, რომელიც ვინმე აბერსიოდ წოდებულს ეკუთვნის: *“წარმგზავნა რომში უზენაესი ხელმწიფების განსაჭვრეტელად და დედოფლის სანახავად, რომელიც მოსილი იყო ოქროსფერი სამოსით, ოქროსფეხსაცმლით; ვიხილე ასევე ხალხი, რომელსაც ესვა ბწრყინვალე ბეჭედი”.* ახლა ირენეოსს მოვუსმინოთ: *“ამ ეკლესიის დიდი ავტორიტეტის გამო ყოველი ეკლესია მასთან თანხმობაში უნდა იყოს, ანუ მორწმუნენი, რომლებიც ყოველგან არიან; რადგან მასში იქნა შენახული სამარადჟამოდ სამოციქულო ტრადიცია”.* მინდა მოვიყვანო კიდევ ერთი ტექსტი იმ მრავალთაგან, რომელიც იოანე ოქროპირს ეკუთვნის, რომაელთა მიმართ წერილის განმარტებიდან: “*ის, რაც ამ ქალაქის დიდებას ასხივოსნებს, ორი აგიზგიზებული თვალი აქვს: ეს ამ ორი წმიდანის სხეულია. ზეცაში, როდესაც მზე თავის უმაღლეს მწვერვალს აღწევს, არსად იმდენად არ კაშკაშებს, როგორც რომის თავზე ამ ორი ჩირაღდნის მეშვეობით, რომელთა სხივებიც არემარეს აბრწყინებენ. ერთგან წმიდა პავლე აღმოიწევს, მეორეგან წმიდა პეტრე. ამ სანახობით დაშინებულნი ფიქრობენ, რომ აგერ-აგერ მათ თვალწინ პავლე გამოვა პეტრესთან ერთად ჩაკეტილი სამარხიდან, და ზეცაში უფალთან შესახვედრად წაიყვანს ”.* ამ ქალაქის მოწოდება, “*დიდებული და შემაშფოთებელი ქარიზმა*”, – როგორც აღნიშნავდა *ლაკორდე,* – ძალაუფლება და დიდება, მარტვილობა და ჯვარი, თითქოს მისსავე ასოებში დამალულა, თუკი მათ სხვაგვარად წავიკითხავთ, ანუ უკუღმა, მივიღებთ: ROMA – AMOR, რაც ლათინურად ნიშნავს “სიყვარულს”. იყოს სიყვარულისა და მარადისობის ქალაქი – აი, ამ მარადიული ქალაქის მოწოდება. იგივე მოწოდება ჰქონდა პეტრეს, - ჯვარცმის ღამის მოღალატეს და ვატიკანის ბორცვზე პირდაღმა ჯვარცმულს (დაახლ. 64-66 წწ.), – რომელიც მას ტიბერიუსის ტბაზე უფალთან საუბრის დროს გაემჟღავნა: “პეტრე, მათზე მეტად გიყვარვარ? შენ იცი, უფალო, რომ მიყვარხარ” (შდრ. იოან. 21:15, შმდ.). ამ სიტყვების თამაშში ორი მოწოდება ერთიანდება: ადამიანი და საკრებულო. იგივე სიტყვების თამაში მოსწონდა ათენაგორას, კონსტანტინეპოლის პატრიარქს, რადგანაც ის, რაც ამ მარადიული ქალაქისთვის არის ღირებული, სწორედ სიყვარულია; სიყვარული, რომელიც კი არ ახშობს სხვადასხვაობას, არამედ აფასებს. XX საუკუნის დიდი თეოლოგი, კარდინალი ანრი დე ლუბაკი წერდა: “*ეკლესიის ხილვადი კათოლიკობა ჩვეული გამომხატველობაა მისი შინაგანი სიმდიდრისა, და რომ მისი სილამაზე სხვადასხვაგვარობაში გაბრწყინდება”.* სხვა სიტყვებით, “სხვადასხვაგვარობა” კათოლიკობის გენეტიკურ კოდში დევს, ეს მისი განძია, მისი სიყვარული. ამ კონტექსტში მართლაც კარგია, რომ პირველ ენციკლიკას იმ პიროვნებისა, – ვინც დღეს *“ყველა ჩვენგანისთვის ნეტარი პეტრეს ხმის მთარგმნელია”,* როგორც ამას აღნიშნავდა 451 წელს ქალკედონის IV მსოფლიო კრების 520 საეკლესიო მამა, – სათაურად და არგუმენტად სიყვარულის თემა აქვს! ნიშანდობლივია ის დაკვირვება, რომელიც პაპის ბენედიქტე XVI-ის არჩევიდან ერთი წლის შემდეგ გაკეთდა: თუკი ხალხი რომში მიდიოდა იოანე პავლე II-ის სახანავად, ხალხი რომში უკვე ბენედიქტე XVI-ის მოსასმენად მიდის!

დასასრულ, მინდა გავიხსენო ის, რაც “ვნახე” მამა აკაკი ჭელიძის სამღვდელო ხელდასხმის დასასრულს, რომელიც წმიდა სამების დღესასწაულის ცისკარზე 10 ივნისს აღსრულდა თბილისის წმიდა მარიამის აღყვანების ტაძარში, როდესაც ნუნციუსმა წმიდა მამის, ბენედიქტე XVI-ის, მიერ სწორედ ამ დღისათვის რომიდან გამოგზავნილი მიმართვა წაიკითხა: მორწმუნეთა დასი ფეხზე წამომდგარი უსმენდა იმ მოკლე სიტყვას; ვფიქრობ ეს ჩვენი სიყვარულის გამოხატულება იყო, იმ ქალაქისადმი სიყვარულის, რომელიც დღესაც “სიყვარულში წინამძღოლობს”. ყველაზე დიდი ნიშანი ჩვენს საკრებულოებში იქნებოდა ამ ენციკლიკის რწმენითა და სიყვარულით წაკითხვა და განსჯა, – რაც უკვე შესაძლებელია ქართულ ენაზეც, რომელიც, ასევე, დაიბეჭდა ბათუმის გაზეთ

“აჭარა”-ში, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ მთელ რედაქციას, – რათა შეგვეძლოს სიყვარულის ამ საკვრელში გაღვივება.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

პონტიფექსის ვიზიტი პოლონეთში

ბენედიქტე XVI-ის პონტიფიკატი, როგორც ხშირად მიიჩნევენ, გარეგნული თვალსაზრისით, ბევრად უფრო “კამერულია”, ვიდრე – მისი წინამორბედისა. ამიტომაც, ახალი პაპის ყოველ ვიზიტს ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. თუკი კელნის ახალგაზრდულ დღეებზე დასწრება იოანე პავლე II-ის მიერ იყო დაგეგმილი, ამა წლის 25-28 მაისს პოლონეთში სტუმრობა უკვე საკუთრივ ბენედიქტე XVI-ის პირველი მოგზაურობა გახლდათ.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წლის სამივე ვიზიტი – უკვე დასრულებული და ორივე – მომავალი (პირველი – ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში 8-9 ივლისს, ხოლო მეორე – თურქეთში, სავარაუდოდ, შემოდგომაზე) – ძალიან საგულისხმო დატვირთვის შემცველია: პოლონური მოგზაურობა იოანე პავლე II-ის სულიერი მისიისა და მისი მშობელი ქვეყნის არაორაზროვანი და ნათელი შეფასებაა ახალი პონტიფექსის მიერ, ხოლო ვალენსიური და თურქული მომავალი ვოიაჟები, ასევე, სრულიად გარკვეული ინტენციის გამოხატულებაა: ესპანეთში კათოლიკურ ოჯახთა შეკრებაზე ჩასვლა პასუხი იქნება ქვეყნის ამჟამინდელი სოციალისტური ხელისუფლების ანტიქრისტიანულ სულისკვეთებაზე – როგორც ვიცით, შარშან ზაპარეტოს რეჟიმმა ჰომოსექსუალური ქირწინებები დააკანონა, ხოლო რელიგიათა შესწავლა სასკოლო პროგრამიდან ამოიღო; ხოლო ვიზიტი თურქეთში პონტიფექსის მიერ არაერთხელ გაცხადებული მისიის ნაწილია – დედა ეკლესიის წიაღს დაუბრუნოს აღმოსავლეთის ეკლესიები, რომელთაგან კონსტანტინოპოლის საპატრიარქო (ანტიოქიის, რუმინეთის, სერბეთისა და ბულგარეთის საპატრიარქოებთან ერთად) ამისათვის სერიოზულ მზაობას ამჟღავნებს.

პირველი სიტყვა ბენედიქტე XVI-მ ოკენჩეს აეროპორტში წარმოთქვა. პონტიფექსმა აღნიშნა, რომ მისი ვიზიტი “არაა ოდენ სენტიმენტალური მოგზაურობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, რწმენის მსხემობაა... მე ჩამოვედი, რათა მივყვე იოანე პავლე II-ის “კვალს” – მისი ბავშვობიდან 1978 წლის ღირსშესანიშნავ კონკლავამდე”.

სამდღიანი ვიზიტის განმავლობაში წმიდა მამამ მოინახულა ვარშავა, კრაკოვი, ვადოვიცე – იოანე პავლე II-ის მშობლიური ქალაქი, ჩენსტოჰოვა – პოლონეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წმიდა ადგილი, კალვარია ზაბჟიდოვსკას სანქტუარიუსი, დაბოლოს – აუშვიცი, რის შემდეგაც ის კვლავ კრაკოვში დაბრუნდა და 28 მაისს ბალიცეს აეროპორტიდან რომში ჩაფრინდა.

ჩვენი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია წმიდა მამის 15 სიტყვის, მიმართვისა თუ ქადაგების სრული მიმოხილვა, მაგრამ შევეცდებით, ყურადღება ამ გამოსვლათა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ადგილებზე გავამახვილოთ.

დავიწყებთ იმ სიტყვით, რომელიც ბენედიქტე XVI-მ 25 მაისს ვარშავის საკათედრო ტაძარში პოლონეთის სამღვდელოებასთან შეხვედრისას წამოთქვა. მან თქვა, – “ამ ტაძარს კარგად ახსოვს თქვენი დედაქალაქის ტრაგიკული ისტორია XX საუკუნეში... ჩვენ გვახსოვს როგორც კანონიზებულ წმიდანთა, ისე – უბრალო ხალხის რწმენის გმირული მოწმეობა... განსაკუთრებულად ვიხსენებთ მონას ღმრთისას – კარდინალ სტეფან ვიშინსკის, რომელსაც თქვენ “ათასწლეულის

პრიმასს” უწოდებთ. ის – უფალსა და ღმრთისმშობელს მინდობილი – ერთგულად ემსახურებოდა ეკლესიას მკაცრი და ხანგრძლივი განსაცდელის დროსაც კი. მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ მათ, ვინც არ შეეპუა ბნელეთის ძალებს, სწორედ მათგან ვსწავლობთ, როგორ უნდა ვუერთგულოთ ქრისტეს სახარებას.” პონტიფექსმა პოლონეთის სამღვდელოებას თანამედროვე გამოწვევათა შესახებაც აუწყა და აღნიშნა, რომ სულაც არაა საჭირო, ახალგაზრდა მღვდელი უახლესი სეკულარული “სიბრძნის” სინატიფეებში ერკვეოდეს, მთავარია, რომ ის სულიერების ექსპერტი იყოს და მისი თეოლოგიური კვალიფიკაცია ეჭვს არ იწვევდეს.

26 მაისს ბენედიქტე XVI ჩენსტოჰოვაში ბერმონაზვნებს, სემინარისტებსა და ქრისტიანულ მოძრაობათა წარმომადგენლებს შეხვდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია წმიდა მამის მიმართვა სემინარისტებისადმი: “ძვირფასებო, ბევრი რამ შეიძლება გავიგოთ, თუ დავუკვირდებით, რაგვარად სწავლობდა მარიამი იესოსაგან! მისი პირველი სიტყვებიდან დაწყებული – “იყავნ ნებისამებრ შენისა” – რომელიც ჩვეულებრივი, ყოველდღიური და გარეშე თვალთაგან დაფარული წლებით გაგრძელდა, როცა ის იესოს ზრდიდა, ან, როცა მან იესოსაგან გალილეას კანაში პირველი სასწაული ითხოვა – გოლგოთით დამთავრებული – მარიამი ნაბიჯ-ნაბიჯ შეიცნობდა იესოს... იგი ემსახურებოდა თავის შვილსა და უფალს მზრუნველი სიყვარულით და თავის გულში წარმოთქვამდა – “ადიდებს სული ჩემი უფალსა...” ასევე, თქვენც არ მოაშოროთ თვალი იესოს. მიეცით მას ნება, რათა გამოგძერწოთ და ფორმა მოგანიჭოთ, რომ თქვენც მსახურებისას შეძლოთ მის ჩვენება ყველასთვის, ვინც მოგმართავთ. როცა ხელში ქრისტეს ევქარისტიულ სხეულს აიღებთ, რათა უფლის ხალხი გამოკვებოთ, როცა ქრისტეს მისტიკური სხეულის იმ ნაწილის პასუხისმგებლობას გაინაწილებთ, რომელსაც მოგანდობენ, გახსოვდეთ ის გაოცება და თაყვანისცემა, რომელიც მარიამის რწმენისთვისაა ნიშანდობლივი... ნუ შეგეშინდებათ, რომ მჭევრმეტყველება გიმტყუნებთ! სამყაროსა და ეკლესიას, უპირველეს ყოვლისა, მღვდლები, წმიდა მღვდლები სჭირდება!”

28 მაისს, თავისი ვიზიტის ბოლო დღეს, ბენედიქტე XVI-მ აუშვიც-ბირკენაუს საკონცენტრაციო ბანაკი მოინახულა. როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას განადგურებულ 6,5 მილიონ ებრაელთა უდიდესი ნაწილი სწორედ აუშვიცის გაზის კამერებში დაიღუპა.

პაპი საღამოს 7 საათისათვის ფეხით შევიდა ბანაკის ჭიშკარში, სადაც მას აუშვიცის მუზეუმის დირექტორი, პოლონეთის ეპისკოპოსთა კონფერენციის რელიგიათაშორისი კომიტეტის თავმჯდომარე, იუდაიზმის წარმომადგენელნი, ბელსკო-ბიალას ეპარქიის ეპისკოპოსი და პოლონეთის კულტურის მინისტრი შეეგებნენ. ამის შემდეგ წმიდა მამა სიკვდილის კედლისაკენ გაეშურა, სადაც მას ყოფილ პატიმართა ჯგუფი ელოდა. კედელთან ლოცვის შემდეგ ბენედიქტე XVI აუშვიცის ჯურღმულის № 11 ბლოკში ჩავიდა, სადაც ის კამერაა, რომელშიც წმიდა მაქსიმილიან მარია კოლბე აღესრულა. იქ წმიდა მამამ სანთელი დაანთო და ილოცა. შემდეგ პაპი ბირკენაუს ბანაკში წაიყვანეს, სადაც საერთაშორისო ცენტრის შენობაზე 22 მემორიალური დაფაა, რომლებზეც თავ-თავინთ ენებზე აუშვიც-ბირკენაუს ბანაკის მსხვერპლთა სახელებია ამოტვიფრული. პაპი სხვადასხვა ეროვნების ყოფილ პატიმართა კიდევ ერთ ჯგუფს შეხვდა, რის შემდეგაც მან სიტყვა წარმოთქვა.

პონტიფექსმა აღნიშნა, რომ “ამ ადგილას საუბარი თითქმის შეუძლებელია, განსაკუთრებით კი ძნელია ეს ქრისტიანისათვის, პაპისათვის, რომელიც გერმანიიდანაა... ჩვენ არ ძალგვიძს, ჩავწვდეთ უფლის საიდუმლოს, რადგანაც ოდენ ფრაგმენტებს ვხედავთ და ძლიერ ვცდებით, როცა გვსურს, ღმრთისა და ისტორიის მსაჯულნი გავხდეთ. ამგვარად ჩვენ ადამიანს კი არ ვიცავთ, არამედ მის

განადგურებასა და მსხვრევას ვუწყობთ ხელს. სამაგიეროდ, ჩვენ ერთი რამ ნამდვილად ძალგვიძს – მდაბლად, მაგრამ შეუპოვრად შევღაღადოთ უფალს: "აღსდექ, უფალო! არ დაივიწყო შენი ქმნილება – ადამიანი!" მაგრამ ღმრთისადმი აღვლენილმა ამ ღაღადისმა იმავდროულად ჩვენსავე გულებში უნდა შეაღწიოს, რათა იქ უფლის დაფარულმა არსებობამ გაიღვიძოს, რათა ის ძალა, რომელიც მან ჩვენს გულებში ჩადო, ეგოიზმის ხავსით არ დაიფაროს..."

28 მაისსავე ბენედიქტე XVI-მ პოლონეთიდან გამგზავრებამდე კრაკოვში წირვა აღასრულა, სადაც ქადაგება ამგვარი სიტყვებით დაამთავრა: "გთხოვთ, ევროპის სხვა ხალხებს თქვენი რწმენის საგანძური უწილადოთ! დაე, იყოს ეს თქვენი თანამემამულის ხსოვნისადმი პატივისცემის ნიშანი! ის ხომ არნახული ძალითა და დამაჯერებლობით აღასრულებდა თავის მისიას როგორც წმიდა პეტრეს მემკვიდრე! მომიხსენეთ მეც თქვენს ლოცვებში, როგორც ჩემს დიდ წინამორბედს მოიხსენებდით ხოლმე, რათა შევძლო იმ მისიის აღსრულება, რომელიც ქრისტემ მომანდო. გთხოვთ, იყოთ მტკიცენი რწმენაში! იყოთ მტკიცენი სასოებაში! იყოთ მტკიცენი სიყვარულში! ამინ!"

იაკობ დუმბაძე

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

გპირდებით ლოცვას ღმრთის სადიდებლად!
მამა აკაკი ჭელიძის მღვდლად ხელდასხმა

ივნისის თაკარა მზით გასხივოსნებული დილა გათენდა 2006 წლის 10 ივნისს. თუმცა წინა დღეებიც ამ დღის მსგავსი იყო, მაგრამ ეს დღე საქართველოს კათოლიკეებისათვის სხვებისაგან ძალზე გამორჩეული და მნიშვნელოვანი იყო: საუკუნის შემდეგ პირველად მოხდა ქართველი ახალგაზრდის მღვდლად კურთხევა სწორედ იმ ტაძარში, რომელშიც ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები – მიქელ თამარაშვილი, ალფონს ხითარიშვილი და სხვანი – აღავლენდნენ წმიდა წირვას. წმიდა მარიამი, სხვა წმიდანებთან ერთად, საკურთხევლიდან გადმოსცქეროდა მამა აკაკის, ხოლო მიქელ თამარაშვილი თითქოს მფარველობასა და თანადგომას ჰპირდებოდა მას.

მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარი მრავალფეროვანი ყვავილებით თვალწარმტაცად იყო მორთული. კურთხევის ცერემონიალში საქართველოში მოღვაწე ლათინური წესის ყველა მღვდელი, სომხური წესის კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი და მღვდლები იღებდნენ მონაწილეობას. წირვას უძღვებოდა ყოვლადუსამღვდელოესი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, აქვე იყო წმიდა საყდრის დესპანი ამიერკავკასიაში, მაღალყოვლადუსამღვდელოესი, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი. ამ დღეს განსაკუთრებული ღელვა ემჩნეოდა მამა ნინო მარტინის, მამა პავლე დილს და პიემონტის პროვინციის პრეფექტს, მამა ანტონიო მენეგონს, რომელიც სხვა კამილიელ მამებთან ერთად საგანგებოდ ჩამოვიდა აკაკი ჭელიძის მღვდლად ხელდასხმაზე. ეკლესია მორწმუნეებით იყო გადაჭედილი, ყველა ღელავდა, მაგრამ რა შეედრებოდა მამა აკაკის მშობლებისა და ერთადერთი დის განცდებს, მათ ხომ საკუთარი შვილი ღმერთს შესწირეს და მასვე მიანდეს მისი მომავალი, დარწმუნებულებმა, რომ მათი პირმშო საკუთარი არჩევანისა და მოწოდების ერთგული დარჩება სიცოცხლის ბოლომდე.

წმიდა წირვის დაწყებისას მამა პავლე დილმა ეპისკოპოსს წარუდგინა დიაკონი აკაკი ჭელიძე და სამოციქულო ადმინისტრატორს, ეპისკოპოსს მისი ხელდასხმა სთხოვა.

„ძვირფასო აკაკი“, – მიმართა მას ქადაგებისას ეპიკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ, – „დღევანდელი მსახურებით, მთელ ეკლესიასთან ერთად სამების გრანდიოზულ და გამოუთქმელ საიდუმლოებაში შევაბიჯებთ. კმაყოფილებას გვანიჭებს იმაზე ფიქრი, რომ ყოფიერების შუაგული – ღმრთის საიდუმლოება – მარტოობა კი არ არის, არამედ იმ ადამიანთა ერთიანობა, რომლებსაც მარადიული და უსასრულო სიყვარულით უყვართ ერთმანეთი. გაოგნებულნი ვრჩებით, როდესაც ვგრძნობთ, რომ ეს სამებისეული ერთიანობა, ეს უსაზღვრო სიყვარული ადამიანისა და მისი ისტორიული გზისაგან განცალკევებული კი არ დარჩა, არამედ, პირიქით: ჩვენს ისტორიას რომ გადავავლებთ თვალს, ვხვდებით, რომ უმაღლესმა სიყვარულმა უმაღლესი სიყვარული გამოაცხადა, თავად გამოვიდა ასპარეზზე და კაცობრიობის ისტორია უწმიდეს სამებად მოგვევლინა... „ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვენი ხსნისათვის“, მამისა და ძის სული სამებაში გვებოძა, ის გამუდმებით მოქმედებს ეკლესიაში და ახალი სიცოცხლის ბოძებით ცხოველყოფს მას. „წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით“...

ძვირფასო აკაკი, შენი საღმრთისმსახურო ხელდასხმა დღეს, წმიდა სამების დღესასწაულის დღეს აღსრულდება და უეჭველად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მღვდლად ეკურთხები და ქვეყნად წარიგზავნები „ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვენი ხსნისათვის“... ღმრთისმსახური მაშინ იქნები, როდესაც ადამიანთა ძმად იქცევი, როდესაც იგრძნობ, რომ შენი ცხოვრება შენი კი აღარ არის, არამედ სხვებისთვის იქცა პურად, რომელიც ახალ ძალას აძლევს მას, ვინც მას ჭამს. იყავი ღმრთისმსახური ადამიანთა შორის, ადამიანთათვის. შენი ღირსება, რომელიც შენს ძმებსა და დებს შორის გამოგარჩევს, შენი კულტურისა და ჭკუა-გონების, ან იმ ფინანსური სახსრების შედეგი კი არ იქნება, რომელსაც განაგებ, არამედ მხოლოდ სიყვარულით მსახურების შენი უნარისა: „ის, ვისაც თქვენს შორის უფროსობა სურს, მსახურად უნდა იქცეს“.

დიადი და მშვენიერი იქნები ღმრთის წინაშე, როდესაც შენი ცხოვრების დასასრულს, შეგეძლება თქვა: მთლიანად გავეცი საკუთარი თავი, უანგაროდ ვაკეთე ყველაფერი, სიყვარულით... ადამიანთა ძმა ვიყავი! ღმრთისმსახურს ადამიანთა შორის მკაფიო ამოცანა აქვს: ის მათთან „ხსნის მოსატანად არის“. ეს არის მღვდლის მისია. ამიტომაც დღეს, ხელდასხმით მოგენიჭება უნარი, წმიდა წირვის ასრულებისას საკურთხეველზე ჯვარცმის მსხვერპლშეწირვა განაახლო, ამიტომაც შეგეძლება თქვა ღმრთის სახელით: „მოგეტევა ცოდვები შენი“...

შენს ხელთ, რომლებსაც დღეს წმიდა მირონი მიეპკურება, მოექცევა უდიდესი პასუხისმგებლობა: ადამიანებისათვის ღმრთის გაზიარების პასუხისმგებლობა; ღმერთია უმაღლესი მხსნელი სიყვარული, რადგანაც ის წმიდა და სრულყოფილია. ეს სიყვარული უნდა შეიცნონ ადამიანებმა. ახარე ის სიტყვითა და საქმით, გადაეცი ის საიდუმლოებების მეშვეობით, რომელთა აღსრულების უნარსაც ეკლესია განიჭებს, განსაკუთრებით – ევქარისტიისა და აღსარების მეშვეობით, დაამოწმე ის ლაღი და იმედით აღსავსე ცხოვრებით, მაშინაც კი, როდესაც ბოროტება ძლიერად მოგეჩვენება, შენი ძალები კი – გამოფიტულად.

ძვირფასო აკაკი, მრავალი წლის შემდეგ პირველი ქართველი ხარ, რომელიც საქართველოში მღვდლად ეკურთხება კათოლიკურ ტაძარში და ხარ პირველი ხელდასხმული საქართველოს კამილიელთა ოჯახში. ამ ქვეყნის სხვა ახალგაზრდა შვილებსაც მოუწოდე, გაჰყვნენ შენს გზას. საკუთარი გამოცდილებით შეძლებ მათთვის თქმას, რომ მოწოდების გზა

ყოველთვის ადვილი და ნათელი არ არის, მაგრამ ღმერთი მუდამ ერთგულია და ნელ-ნელა, მოთმინებით, გაგვინათებს გასავლელ გზას.

დღეს შეგიძლია გაიხსენო შენი პირველი მოხმობა... ის ადამიანებიც, ვინც ღმერთმა შენი მოწოდების გზაზე დასახმარებლად მოგივლინა. არ მსურს, ვინმე დავივიწყო, რადგანაც თითოეულის ღვაწლი ძვირფასია, ამიტომ მხოლოდ შენს მშობლებს ვახსენებ... ღმერთმა აკურთხოს შენი ცხოვრების შესაწირავი, რომელსაც ისინი ეკლესიას უხსნიან.

ძვირფასი კამილიელებო, დღეს ყველანი თქვენთან ერთად ვზეიმობთ. ამ ადგილობრივ ეკლესიაში თქვენი მსახურება უფრო ფართო საწიერს იძენს. მადლობას გიხდით იმ სიყვარულისა და მზადყოფნისათვის, რომლითაც ემსახურებით ამ ადამიანებს ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენი ქარიზმის თანახმად. დღეს ღმერთი გაკურთხებთ ერთ-ერთი თქვენი შვილის ხელით, რომელიც ღმრთისმსახური გახდება...“

ქადაგების დასრულების შემდეგ აკაკი ჭელიძე დებს აღთქმას, რომ მთელი თავისი მსახურების მანძილზე, სული წმიდის შთაგონებითა და წინამძღოლობით, ერთგულად ემსახურება ღმერთსა და ხალხს.

ეკლესიის თაღებქვეშ, საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის – „ალელუიას“ შესრულებით, გაისმის ყველა წმიდანთა ლიტანიის გულშიჩამწვდომი გალობა, ეკლესიაში შეკრებილნი ერთხმად უპასუხებენ: „შეგვიწყალე ჩვენ“, აკაკი კი – იატაკზე გართხმული – დახმარებასა და შეწევნას სთხოვს ტაძრის საკურთხეველზე გამოსახულ წმიდანებს და, განსაკუთრებით, წმიდა კამილოს.

ეპისკოპოსმა, მთავარეპისკოპოსმა და დანარჩენმა ღმრთისმასახურებმა ხელები დაასხეს მას თავზე და მოულოცეს ღმრთისმსახურთა ოჯახში შესვლა.

წირვის დასრულების შემდეგ ყვავილების ზღვაში იძირებოდა გულითადი მილოცვები.

„ძვირფასო აკაკი, – მიმართა მას მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ, – **დღეს შენთვის დიდი და მნიშვნელოვანი დღე დადგა ღმრთის მადლით. გახსოვდეს, რომ იცხოვრო მისთვის, მის მიერ და მასში, რადგან სხვა ყველაფერი ამაოა. ემსახურე სნეულთ, ისინი ახლა შენგან მიიღებენ არა მარტო მატერიალურ დახმარებას, არამედ სიცოცხლის პურსაც. დღეს საქართველოს კათოლიკურ საკრებულოსთან ერთად კამილიელთა ოჯახის დღესასწაულიცაა.**

ძვირფასო მამა ნინო, რამდენჯერ გვიფიქრია, ერთად დავხმარებოდით ადამიანებს, მაგრამ ოცნებასაც ვერ ვბედავდით, ვყოფილიყავით მახარებლები უფრო დიდი წყალობისა – გვყოლოდა ამ მიწის ამ ეკლესიის მღვდელი. ეს სასწაულია, რასაც ღმერთი აღასრულებს ჩვენი, სუსტი პიროვნებების საშუალებით. განსაკუთრებული მადლობა მონსინიორ ნიშანის, რომელიც სომეხ კათოლიკეთა ეპისკოპოსია, მისი აქ ყოფნა ჩვენი ეკლესიის სიმდიდრის და საყოველთაობის მაჩვენებელია.

ამ ზეიმში ჩვენთან იმყოფება წმიდა მამა, ბენედიქტე XVI, რომელმაც, როცა გაიგო ამ ხელდასხმის შესახებ, სწორედ ამ დილას, თავისი განსაკუთრებული კურთხევა გამოაგზავნა...“

პიემონტის პროვინციის კამილიელთა ორდენის პრეფექტმა მამა ანტონიო მენეგონიმ გულმხურვალედ მიულოცა მამა აკაკის მღვდლად კურთხევა: **„უძვირფასესო აკაკი, გილოცავ ამ ბედნიერ დღეს, გისურვებ იესოს მიბაძვას, რომელიც სხვების სამსახურისათვის მოვიდა. გისურვებ, რათა იყო ადამიანთა სულების მკურნალი, რათა შეძლო მათი დახმარება, როცა მიიყვან ღმერთთან შესახვედრად. გისურვებ იყო ღმრთის კაცი, ღმერთზე შეყვარებული და სხვებიც მიიყვანო მის გულმოწყალე სიყვარულში“.**

სამადლობელ სიტყვაში აკაკი ჭელიძემ მადლობა გადაუხადა ყველას თანადგომისა და კეთილი სურვილებისათვის: **„ეპისკოპოსნო, ძმანო მღვდლობაში, ძმანო და დანო, მილოცვის მრავალი სიტყვა ითქვა და ამ დღის მნიშვნელობა კარგად დახასიათდა. მინდა გამოვთქვა ის გრძნობა, რაც ჩემს გულშია, მადლობა ჩემი ძვირფასი მშობლებისადმი, რომლებიც ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდნენ ჩემს მოწოდებას, თუმცა არ ვიცი, რამდენად იზიარებდნენ მას.**

მადლობა კამილიელთა ოჯახს, მადლობა ძვირფას პრეფექტს – მამა ანტონიოს, მამა ნინოს, მამა პავლეს. დღეს შეუძლებელია არ გავიხსენო მამა პავლე და მონაზონი მარია, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ჩემზე, მათი სულები დღეს ზეცაში ზეიმობენ ჩვენთან ერთად.

განსაკუთრებული მადლობა თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს კათოლიკურ ტაძარს, რადგანაც იქ დაიწყო ჩემი მოწოდება. მამა იანი იყო ჩემი პირველი მოძღვარი, ამიტომ განსაკუთრებულია მისი ღვაწლი ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში. ჩემი სიყვარული კათოლიკე ეკლესიის მიმართ, რომელიც 14 წლის წინ დაიწყო, დღესაც გრძელდება.

ძვირფასო მირწმუნეებო, გპირდებით ლოცვას, ლოცვას და კიდევ ლოცვას ღმრთის სადიდებლად“.

ციცინო ხითარიშვილი

ბათუმელ კათოლიკეთა ქრონიკა

სულთმოფენობის დღესასწაული

ბათუმელი კათოლიკეებისათვის ამ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ბათუმის ახალი კათოლიკური ტაძარი სული წმიდის სახელზეა აგებული და ეკურთხა 2000 წელს სულთმოფენობის დღესასწაულზე და, ამდენად, მისი საიუბილეო დღეცაა.

წელსაც ამ დღემ განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში ჩაიარა: ჯერ ჩვენმა საყვარელმა ეპისკოპოსმა, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ, გაგვახარა თავისი ჩამობრძანებით; შემდეგ მას მოჰყვნენ ქუთაისიდან მამა გაბრიელე ბრაგანტინი, მამა კარლო დი სტეფანო; დები: ანა მარია, ლორედანა, ჟოზეფინა; იყვნენ სტუმრები იტალიიდან, ქუთაისიდან, ოზურგეთიდან და შრომიდან. ჩვენი სიხარულის გასაზიარებლად მობრძანდნენ ქალაქის ვიცე-მერი, ქ-ნი ნათია სურგულაძე და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბ-ნი კახაბერ სურგულაძე.

საზეიმო წირვას ეპისკოპოსი უძღვებოდა. მისი ქადაგება, როგორც ყოველთვის, გამსჭვალული იყო ქრისტიანული სიყვარულით და მოიცავდა ჩვენს ამჟამინდელ ყოფა-ცხოვრებას.

წირვის შემდეგ ზეიმმა საკონფერენციო დარბაზში გადაინაცვალა. ლამაზად გაფორმებულ სცენაზე მრევლის წევრებმა წარმოადგინეს ბიბლიური სიუჟეტები, სახელწოდებით: „ღმერთი სიყვარულია“ და, ასევე, სცენები საბავშვო კატეხისტური სახელმძღვანელოებიდან, მასში ჩართული იყო დედა ტერეზასა და ჩვენი ეპისკოპოსის სწავლებანი. მეორე განყოფილებაში მრევლის წევრებმა დამსწრეთ წარუდგინეს საკუთარი თუ ცნობილ ქართველ პოეტთა ლექსები, სიმღერები. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა პატარა მარიამ მღებრიშვილის მიერ წაკითხულმა ლექსმა; ელენე ზოიძის, თამაზ მამისეიშვილის, გივი ცქვიტინიძის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა.

შემდეგ ზეიმი ტაძრისწინა ეზოში გაგრძელდა, სადაც მერიასთან არსებულმა საბავშვო ანსამბლებმა „ოლიმპომ“, „მერანმა“ და სამეჯლისო ცეკვების ბავშვთა

ანსამბლებმა წარმოაჩინეს თავიანთი ოსტატობა. საზოგადოება მხურვალე ტაშით აჯილდოებდა ახალგაზრდა შემსრულებლებს, რომლებიც საკმაო ოსტატობით ასრულებდნენ რთულ საცეკვაო ილეთებს. ეს ჭეშმარიტი სახალხო ზეიმი იყო, ირგვლივ სიყვარული და ურთიერთპატივისცემა სუფევდა.

ეპისკოპოსმა ჯუზეპემ, მამა გაბრიელემ და ეკლესიის მრევლმა მადლობა გადაუხადეს ვიცე-მერს, უზენაესი საბჭოს დეპუტატს, ანსამბლების ხელმძღვანელებს და პატარა შემსრულებლებს, ზეიმში მონაწილეობისა და სიყვარულისა და მეგობრობის გაზიარებისათვის.

ბოლოს მოეწყო მრევლის წევრთა მიერ მომზადებული ნამცხვრების გასინჯვა და შეფასება. ბავშვები ხომ საუკეთესო შემფასებელნი არიან. ისინი კმაყოფილებას გამოთქვამდნენ და გემრიელად შეექცეოდნენ ტკბილეულს.

კიდევ ერთი დღე დასრულდა და ჩაიწერა ბათუმის სული წმიდის ტაძრის ცხოვრებაში. იგი სავსე იყო რწმენით, სიყვარულითა და მეგობრული თანადგომით, ურთიერთპატივისცემითა და საერთო სიხარულის გაზიარებით.

წმიდა საყდრის დესპანის სტუმრობა

28 მაისს განსაკუთრებული მზადება შეინიშნებოდა ბათუმის სული წმიდის კათოლიკურ ტაძარში: ნაგებობა ლამაზი ყვავილებით იყო მორთული, ირგვლივ საზეიმო განწყობა სუფევდა. ამ დღეს ბათუმში წმიდა საყდრის დესპანის, მონსინიორ კლავდიო გუჯეროტის ჩამოსვლას ელოდნენ. მოწვეული იყვნენ სხვადასხვა კონფესიათა და ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლები.

დესპანის ჩამობრძანებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მას მორწმუნეებისა და ფართო საზოგადოებისათვის უნდა გაეცნო წმიდა მამის, ბენედიქტე XVI-ს, პირველი ენციკლიკა „DEUS CARITAS EST“ („ღმერთი სიყვარულია“).

ბათუმში მშვენიერი გაზაფხულის დღე იდგა. დესპანისა და მრევლის გულთბილი შეხვედრის შემდეგ საკვირაო წირვა აღევლინა მაღალყოვლადუსამღვდელოესი კლავდიო გუჯეროტისა და ეკლესიის წინამღვარის მამა გაბრიელეს წინამძღოლობით.

ამ დღეს მთელს კავკასიაში აღევლინებოდა ლოცვა კავკასიის გადარჩენისათვის. ბათუმელ კათოლიკეთა კერძო ლოცვებშიც განსაკუთრებული ლოცვა გაისმოდა უფლისადმი, რათა დაეფარა და ეკურთხებინა კავკასია, ჩვენი საერთო სახლი, ეხსნა იგი ომების, შიმშილისა და უბედურებებისაგან, განემტკიცებინა კავკასიის ერებს შორის ურთიერთპატივისცემა და თანამშროლობა.

წირვის შემდეგ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა პაპის ენციკლიკის პრეზენტაცია. მონსინიორ კლავდიო გუჯეროტიმ დამსწრეთ გააცნო პაპის ენციკლიკის შინაარსი, წმიდა ეკლესიის დამოკიდებულება სიყვარულისადმი; როგორ უნდა მივუძღვნათ, ღმრთის მიერ ბოძებული, ეს დიდი გრძნობა ერთმანეთს; როგორი დამოკიდებულება უნდა იყოს ოჯახში ქალსა და მამაკაცს შორის. დამსწრე საზოგადოება გულდასმით უსმენდა პაპის ენციკლიკის განმარტებას, მორწმუნეებმა მადლობა გადაუხადეს დესპანს საგულისხმო საუბრისათვის.

მეორე დღეს შედგა შეხვედრა მთავარეპისკოპოსს კლავდიო გუჯეროტისა და ბათუმ-სხალთის მთავარეპისკოპოს დიმიტრის შორის. შეხვედრა შედგა ხალიბაურის ბავშვთა სახლში, რომელსაც ბათუმ-სხალთის მართლმადიდებელი ეპარქია უწევს მეურვეობას. მასში მონაწილეობას იღებდა მამა გაბრიელე ბრაგანტინიც. შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

მონსინიორი გუჯეროტი აღფრთოვანებული დარჩა აჭარის სილამაზით, ადამიანთა გულკეთილობითა და სტუმართმოყვარეობით. გამომშვიდობებისას მან დალოცა ბათუმის სულიწმიდის ეკლესიის მრევლი და აჭარის მოსახლეობა.

თენგიზ პარმაქსიზიშვილი
ბათუმი

ღმერთმა სამყაროცა და ადამიანიც სიკეთისათვის შექმნა

12 ივნისს სტიგმელთა ორდენის დამაარსებლის, წმიდა გასპარე ბერტონის ხსენების დღეა. სწორედ ამ დღეს აღინიშნა ქუთაისის კათოლიკურ საკრებულოში დასავლეთ საქართველოს კათოლიკე საკრებულოთა საეპისკოპოსო ვიკარიუსის მამა გაბრიელე ბრაგანტინის მღვდლობის 25-ე წლისთავი, მამა იეჟი პილუსის მე-15 წლისთავი და მამა აკაკი ჭელიძის მღვდელმსახურების დაწყების ცერემონიალი. ამგვარად ეს ლამაზი დღე კიდევ უფრო გაალამაზა საიუბილეო ღონისძიებებმა. ქუთაისის კათოლიკური სამლოცველო მრევლს ვეღარ იტევდა. ისედაც ნაირფერი ყვავილებით მოჩუქურთმებული ეზო დღეს განსაკუთრებულად ლამაზად გამოიყურებოდა და სტუმრების თვალს ახარებდა.

წმიდა წირვა დილის 12 საათზე დაიწყო ეპიკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ხელმძღვანელობით და საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მღვდლების მონაწილეობით. ორგანის წარმტაცი მუსიკის თანხლებით გალობდა ახალშენის გოგონათა გუნდი. თეთრ ანაფორებში შემოსილ მღვდელმსახურებს შორის ადვილად გამოარჩევდით იუბილარებს: მამა გაბრიელესა და მამა იეჟის, რომლებიც საერთო ყურადღებით გარემოცულნი, ოდნავ უხერხულად გრძნობდნენ თავს.

მამა ჯუზეპემ თავის ქადაგებაში გაიხსენა წმიდა გასპარე ბერტონის ცხოვრება და ბოლოს ასე მიმართა მამა გაბრიელეს: **„...დაე, უფალმა დაიფაროს თქვენი ნაბიჯები. გაყევით სტიგმელთა ორდენის დამაარსებლის, გასპარე ბერტონის მიერ გაკვალულ გზას, გაზარდეთ მათი რიცხვი, მათი რიგები და ერთგულად ემსახურეთ ეკლესიას...“.** წირვას ესწრებოდა წმიდა საყდრის დესპანი საქართველოში მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, საქართველოს „კარიტასის“ დირექტორის მოადგილე ქ-ნი ნაზი კვარჩია (რომელმაც მილოცვა და საჩუქარი გადასცა იუბილარებს), სომეხ კათოლიკეთა მოძღვარი მამა ემანუელ დაბაღიანი, საქართველოს კათოლიკური სასულიერო სემინარიის სემინარისტები და სტუმრები ბათუმიდან, ახალშენიდან, შრომიდან, ჭიათურიდან, ოზურგეთიდან.

ელოდებოდნენ ქუთელ-გენათელი მიტროპოლიტის, მეუფე კალისტრატეს სტუმრობასაც, რომელმაც გულდაწყვეტით აღნიშნა, რომ ეს დღესასწაული დაემთხვა სულთმოფენობას მართლმადიდებელ ეკლესიაში და სინანული გამოთქვა, რომ ზეიმში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, მიპატიჟებისათვის კი მადლობა და კეთილი სურვილები გადასცა ქუთაისის კათოლიკური საკრებულოს მოძღვრებს. წირვას ასევე ესწრებოდნე ქუთაისის გუბერნატორის მეუღლე, ქუთაისის კარდიოლოგიური ცენტრის დირექტორი, ექიმები, პოეტი დოდო ნებიერიძე, რომელმაც საჩუქართან ერთად საკუთარი ლექსიც უძღვნა მამა გაბრიელეს. იყო მრავალი მილოცვა, ყვავილები, საჩუქრები და კეთილი სურვილები.

სტუმრებს ყურადღებას არ აკლებდნენ მამა კარლო დი სტეფანო, მამა ლუიჯი მანტოვანი, მონაზვნები: ანა მარია, ლორედანა და ჟოზეფინა, მუდამ მათ გვერდით მყოფი ქ-ნები ნანა მიზანდარი და რუსუდანი.

ამ დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სადილი ქუთაისის „კარიტასის“ ბავშვთა ცენტრში გაიმართა, სადილის შემდეგ კი საზეიმოდ გაიხსნა სადურგლო სახელოსნო. სადღესასწაულო ზეიმი დააგვირგვინა ბავშვთა ცენტრში გამართულმა

კონცერტმა: მღეროდნენ და ცეკვავდნენ ქორეოგრაფ ვიტალი ლადიძისა და სიმღერის მასწავლებელ ნანა კვარაცხელიას აღსაზრდელები.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მამა გაბრიელემ სამადლობელი სიტყვა შემდეგნაირად დაასრულა: „ღმერთმა სამყაროცა და ადამიანიც სიკეთისათვის შექმნა, დიდება მას!“

დოდო ნებიერიძე-გაბრიჩიძე
ქუთაისი

ჩვენი ლოცვაც შეისმინოს უფალმა

ახალციხის კათოლიკური საკრებულო – ათწლეულების შემდეგ ხელახლა – სულ რამდენიმე წლის წინ ჩამოყალიბდა. თავდაპირველად მამა იეჟი შიმეროვსკი ჩამოდიოდა უდიდან და წმიდა წირვებს აღავლენდა. ღმრთისმსახურება პატარა დაქირავებულ ოთახში მიმდინარეობდა (სამწუხაროა, რომ უდიდესი კათოლიკური ტრადიციების მქონე ქალაქში, რომელშიც საუკუნეების განმავლობაშო ყვაოდა კათოლიკური ცხოვრება და სამი ტაძარი ფუნქციონირებდა, ამჟამად კათოლიკეები ნაქირავებ, პატარა ბინაში ატარებდნენ წირვა-ლოცვას; ესეც ისტორიის უკუღმართობაა!). თანდათანობით მრევლი გაიზარდა და საჭირო გახდა ახალი ბინის მოძებნა, რომელიც მორწმუნეებს დაიტევდა. სწორედ იმ წლებში მამა ზურაბ კაკაჩიშვილი გახდა ჩვენი მოძღვარი, რომელმაც ძალ-ღონე არ დაიშურა, ეპისკოპოსის თანადგომითა და დახმარებით ახალი, ფართო ბინა შეიძინა და სათანადოდაც მოაწყო. ახლა ჩვენთან წმიდა წირვებს სისტემურად ატარებენ მამა იეჟი შიმეროვსკი და მამა არტურ გარბესკი. სასიხარულოა, რომ მრევლი თანდათან მატულობს.

იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში იქნებ ეკლესიის აშენებაზე ფიქრიც კი დავიწყოთ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ახალციხეში კათოლიკური ტაძრის ასაშენებლად ადგილიც კი იყო გამოყოფილი, მაგრამ მართლმადიდებელთა მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას წავაწყდით. ამჟამად ყველა ახალციხელი კათოლიკის მთავარი სათხოვარი ღმრთისადმი სწორედ ეკლესიის აშენებაა. მით უმეტეს, რომ მრევლი თანდათან იზრდება. გვჯერა, რომ ღმერთი შეისმენს ჩვენს ვერდებას და მოგვეცემა ეკლესიის აშენების შესაძლებლობა.

ელზა ზუბაშვილი
ახალციხე

სულიერი წვრთნანი წყალთბილაში

სოფელ წყალთბილაში, სადაც თვალწარმტაცი და ულამაზესი ბუნებაა, 4 ივნისიდან 7 ივნისის ჩათვლით, რამდენიმე ახალგაზრდა შევიკრიბეთ თბილისის, გორის, ოზურგეთის, შრომის, ტურცხის, აბასთუმნისა და უდეს საკრებულოებიდან, რათა გაგვერკვია ჩვენი მოწოდება ცხოვრებაში და უფრო ახლოს გაგვეცნო ერთმანეთი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მამა ზურაბ კაკაჩიშვილი და მონაზვნები: ლორედანა, ფლორა, კორინა და ჰორომიკა.

ჩვენი შეხვედრა მეტად საყურადღებოდ წარიმართა, არც კი ველოდით თუ ამგვარი კმაყოფილების გრძნობა შეგვიპყრობდა; განსაკუთრებით მიგვიზიდა მამა ზურაბის საუბარმა, რომელიც შეეხება ეკლესიისადმი საკუთარი თავის მიძღვნას. თეორიულად ამის გაგება ადვილია, მაგრამ პრაქტიკულად მისი განხორციელება ძალიან ძნელია, რადგანაც, თუ გვინდა გავყვეთ იესოს, უნდა ავიღოთ ჩვენი ყოველდღიური ჯვარი და გავყვეთ მას, რაც ყველას არ შეუძლია ან არ სურს,

რადგანაც ახალგაზრდებს გვიჭირს ოჯახთან და იმასთან განშორება, რაც ყოველდღიურ სიამოვნებას გვანიჭებს და ამით ვემსგავსებით იმ ახალგაზრდა ჭაბუკს, რომელმაც ვერ მიატოვა თავისი სიმდიდრე, ოჯახი და არ გაჰყვა იესოს (იხ. მათ. 19:16-30).

ვფიქრობთ, რომ მონაზვნების ჩვენთან ყოფნა კიდევ ერთი ნიშანია ღმერთთან სიახლოვისა, მისი გაყოლისა. ისინი ცოცხალი მაგალითებია ღმრთისადმი თავის შეწირვისა, საკუთარი ჯვრის ზიდვისა. მათმა მაგალითმა ჩაგვაფიქრა და უფრო მკვეთრად დაგვანახა ჩვენი მოვალეობა, რაც გვეკისრება ღმრთისა და ადამიანების მიმართ. მართალია, ჩვენი შეხვედრა ხანმოკლე იყო, მაგრამ მან დადებითი მუხტით აგვავსო და საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში დაგვეხმარა.

ტურცხში მამა არტურ გარბესკიც გვეწვია და თავისი ენთუზიაზმი და ენერგია ჩვენც გადმოგვდო, თანაც ახალი გალობებიც გვასწავლა.

დასრულდა ჩვენი შეხვედრა. ახალგაზრდები ერთმანეთს იმ იმედით დავშორდით, რომ ერთ-ერთი ჩვენთაგანი (ყველა თუ არა) ღირსეულ ნაბიჯს გადადგამს და გაჰყვება იესოს გზას.

უდის საკრებულოს ახალგაზრდები

სოციალური პრობლემები

გარიყულნი

„ისინი ტოქსიკომანები, მეძავები და ლოთები არიან, ძონძები აცვიათ და საშინლად ჰყარან“, – აი ჩვეულებრივი მოქალაქეების წარმოდგენა იმ ადამიანებზე, რომლებსაც საკუთარი საცხოვრებელი კუთხე არ გააჩნიათ და ქუჩაში ცხოვრობენ. მათი რიცხვი მსოფლიოში დაახლოებით ორას მილიონს აღწევს. „უსახლკარობა“ თითქმის ერთნაირად აღიქმება ყველა ქვეყანაში და ფრიად მშრალი განმარტება აქვს: „ნორმალური საცხოვრებელი პირობების უქონლობა“. ამ პრობლემისადმი ამგვარი დამოკიდებულება დიდ სირთულეებს უქმნის მის შესწავლა-გაანალიზებას და, მით უმეტეს, შეუძლებელს ხდის მის მოგვარებას.

უსახლკაროთა უმრავლესობა ქუჩაში ცხოვრობს, ნახევრად დანგრეულ და მიტოვებულ შენობებში, არავის აურჩევია ცხოვრების ამგვარი გზა. ამა თუ იმ წარუმატებლობამ გატეხა და დეპრესიაში ჩააგდო უამრავი ადამიანი, რომლებიც ერთადერთ ხსნას ნარკოტიკებსა და ალკოჰოლში ეძებენ. ისინი კარგავენ მშობლებს, მეუღლეებს, შვილებს, მეგობრებს, ადამიანურ სახეს და ბოლოს ჭერსაც. უსახლკაროთა დიდი ნაწილი თავშესაფრებს აკითხავს, რომლებიც, რა თქმა უნდა, იფარებს და მათი მდგომარეობის გამოსწორებასაც ცდილობს. უსახლკაროთა გარკვეული ნაწილი მაინც ვერ უძლებს თავშესაფარში არსებულ მდგომარეობას და უბრუნდება ლოთობის და გარყვნილების ჭაობს. რა არის ამის მიზეზი? თავშესაფართა დიდი ნაწილი უძლურია მის კედლებს მიღმა არსებულ რეალობასთან შეარიგოს ისედაც გაუწონასწორებელ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები.

იგი ვერ ასაქმებს ზემოხსნებულ კონტინგენტს და ვერ უზრუნველყოფს მათ მცირე სამუშაოთიც კი. უსაქმურობით გადაღლილი ადამიანები ურთიერთობენ მხოლოდ თავისნაირ გაჭირვებულებთან. მათ შორის ხდება დეპრესიულ-სტრესული სანელებლებით შეკაზმული ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. ეს კი უაღრესად სახიფათო ვაკუუმს ქმნის და ადამიანები სულ უფრო ღრმად იკეტებიან უიმედობის ბურუსში. სად არის გამოსავალი?

აუცილებელია სპეციალისტთა და მოხალისეთა მოზიდვა-მომზადება, რათა მათი დახმარებით მოვაბრუნოთ ეს ადამიანები სიცოცხლისაკენ. ამ პროცესებში უნდა ჩაერთოს არა მარტო ეკლესია, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებიც, ამ უკანასკნელებმა საკუთარი მოქალაქეების ფიზიკურ გადარჩენაზე უნდა იზრუნონ, რადგან უსახლკაროთა მილიონიანი არმიის არსებობა იმ პოლიტიკური კურსის ლოგიკური დასაასრულია, რომელიც არათანაბრად და უსამართლოდ ანაწილებს ეროვნულ სიმდიდრეს. მათი პრობლემებით უნდა დაინტერესდნენ უმცირესობაში მყოფი მილიონერებიც.

უსახლკარონი და უპოვარნი არ არიან საზოგადოების მტრები, მით უმეტეს, მისი ზედმეტი ტვირთი. ისინი სხვადასხვა მიზეზების გამო აღმოჩნდნენ ზღვარს მიღმა. საწიროა ერთიანი დაუღალავი შრომა მათ უკან დასაბრუნებლად.

P.S. „იმედის სახლი“

ქ. ბათუმის „ღამის თავშესაფრის“ ბაზაზე არსებული „იმედის სახლი“ და მისი ხელმძღვანელობა აგრძელებს თავის კეთილ საქმეებს, მიმართულს სოციალურად დაუცველი ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დასაქმებისაკენ. ალბათ, გახსოვთ „საბას“ ერთ-ერთ წინა ნომერში აღვნიშნეთ, თუ როგორი მონდომებით შრომობენ იქ მცხოვრები ადამიანები ციტრუსების პლანტაციებსა თუ მშენებლობაზე. „ღამის თავშესაფარის“ ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, „იმედის სახლში“ გადაყვანილ იქნა რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაგანაც დაკომპლექტდა ბრიგადა, დაიდო ხელშეკრულება ქალაქის გამწვანების სამსახურთან და საქმეც მკვდარი წერტილიდან დაიძრა. აღჭურვილობაზე (ეს კი თანამედროვე სისტემის, გაზონების შესაკრეჭი მანქანა-მოწყობილებებია) კათოლიკური ტაძრის მოძღვარმა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ და მონაზონმა ლორედანა მონეტიმ იზრუნეს. ახალგაზრდები, რომლებსაც ადრე სამსახურის შოვნაზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ, დღეს კმაყოფილებას ვერ მალავენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „იმედის სახლის“ ადმინისტრაცია ყოველგვარი ანგარებისა და ანაზღაურების გარეშე მუშაობს ახალგაზრდებთან. დროა სხვებმაც მიჰბაძონ ამ მაგალითს. მონდომების შემთხვევაში შესაძლებელია უამრავი ადამიანის დასაქმება და უიმედობის ჭაობიდან ამოყვანა შეიძლება.

თ. სურმანიძე
ბათუმი

[illegible]

[illegible] «[illegible]». [illegible] «[illegible]». [illegible] [illegible]

[illegible] – «[illegible]», [illegible] [illegible] [illegible]

[illegible] «[illegible]» - [illegible].

[illegible] – [illegible] 2003 [illegible] [illegible] [illegible]

[illegible]..([illegible]; [illegible]).

[illegible]:

[illegible]: [illegible], [illegible], [illegible], [illegible], ([illegible]), [illegible], [illegible], [illegible], [illegible],

შენ ჩემში ხარობ
და მიხარია!

შენ გევედრება ბავშვი სნეული,
ქალწული, ტრფობის
სუნთქვით ძლეული,
Ave Maria!

ატირებული მუხლს იხრის შენს წინ
ყოველი დედა და დავრდომილი
შენგან შეწევნის, შველის მდომელი,
Ave Maria!

ყვავილთა თროლავ,
ყვავილთა ლოცვავ,
შენ ჩემში ხარობ,
Ave Maria !

ავახვნი თვალთა
შენს ციურ სახეს,
სად ვარსკვლავთ ჯარის
სხივთა ქარია.

დღისით და მწუხრში
მინათებ სულში,
მინათებ სულში,
Ave Maria!

ციურ მნათობთა კრთომა ხარ თბილი,
სერაფიმების სუნთქვა ხარ ტბილი,
Ave Maria, Ave Maria!

ავახვნი თვალთა შენს ციურ სახეს,
ეჩურჩულება ლოცვად შენს წმინდა სახელს,
დედავ უტკბესო,
დედავ ივერთა,
წმიდათწმიდაო!

სადაც შენ სუფევ,
დარი და მზეა,
ზეცის კარს შენთვის
სტოვებენ ღიად –
იქ ვარსკვლავთ სხივთა
ნიავნი ჰქრიან,
შენთვის გალობენ ვარდი და ია,
შენ თვით ხარ ცაში გაშლილი ია,
Ave Maria, Ave Maria!

1920

კათოლიკე ეკლესიის პრეზენტაცია „ამბასადორში“

საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მრავალფეროვანი და ნაყოფიერი საქმიანობისადმი საზოგადოების ინტერესი სულ უფრო იზრდება. ეკლესიის საქმიანობა გულგრილს არ ტოვებს არავის, ზოგი სითბოთი და სიყვარულით ადევნებს თვალს, ზოგიც ერთგვარი უნდობლობით, არიან დაუნახავებიც და აშკარად უარყოფითად და შიშითაც განწყობილნიც, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ საქართველოში მოქმედი კათოლიკე ეკლესია, რომელიც საქართველოს ქრისტიანთა მხოლოდ 1%-ს შეადგენს, თავისი სიყვარულით, ძალისხმევითა და საქმით კეთილ თესლს არ თესავდეს ნებისმიერი აღმსარებლობის ადამანთა გულებში, რის გამოც კათოლიკეთა მიმართ კეთილმოსურნეობით გამსჭვალულთა რიგები დღითი-დღე იზრდება (ალბათ ესეც არის არაკეთილმოსუნეთა შფოთის მიზეზი). სწორედ საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება დაედო საფუძვლად სასტუმრო „ამბასადორის“ საკონფერენციო დარბაზში 7 ივნისს გამართულ შეხვედრას, რომლის ორგანიზატორიც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციის – „კონფლიქტების მოგვარებისა და მოლაპარაკებების“ (დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ბ-ნი გიორგი ხუციშვილი) – ინიციატივითა და მხარდაჭერით ჩატარდა.

„ამბასადორის“ კონფერენცდარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა კონფლიქტოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი ბ-ნი გიორგი ხუციშვილი და წარუდგინა ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, რომელიც წარუძღვა პრეზენტაციას.

პრეზენტაციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო. კათოლიკე ეკლესიის მდგომარეობის შესახებ მსოფლიოში ისაუბრა წმიდა საყდრის დესპანმა, მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ; საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მოღვაწეობის ეტაპები გააანალიზა პროფესორმა მერაბ ღაღანიძემ, კათოლიკე ეკლესიის საკრებულოები კამილიელთა ორდენის წევრმა, მამა აკაკი ჭელიძემ წარმოადგინა, საქველმოქმედო საქმიანობის ირგვლივ მრავალრიცხოვანი ფაქტებისა და სტატისტიკის დემონსტრირებით დამსწრეთა წინაშე კავკასიაში კამილიელთა ორდენის ხელმძღვანელი მამა ნინო მარტინი წარსდგა, ეკლესიის ეკუმენურ მოღვაწეობაზე ამომწურავი ინფორმაცია წარმოადგინა სტიგმელთა კონგრეგაციის მღვდელმა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ. განსაკუთრებული სითბოთი და უშუალობით გამოირჩეოდა სემინარიის რექტორის, მამა ზურაბ კაკაჩიშვილის გამოსვლა. მან საკუთარი გამოცდილების გაზიარების ფონზე მეტად შთამბეჭდავი ქრისტიანული დამოწმება გააკეთა.

პრეზენტაციას ჰარმონიულ ფონს უქმნიდა წმ. მარიამ ღმრთისმშობლის ზეცად აღყვანების სახელობის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის „ალელუიას“ (ლოტბარი მარინა ოცხელი) მიერ შთაგონებით შესრულებული ლათინური და ქართული საგალობლები.

მომხსენებელთა საუბარს დამაჯერებლობას მატებდა დარბაზში გამოფენილი სტენდები და კათოლიკური ორგანიზაციების მიერ გამოცემული მრავალფეროვანი ლიტერატურა.

დამსწრე საზოგადოებაც საკმაოდ წარმომადგენლობითი გახლდათ: პარლამენტარები, პრეზიდენტის კანცელარიის თანამშრომლები, სახალხო დამცველი, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები, შეგნებული ათეისტები და ახლა მოდური აგნოსტიკოსები.

პრეზენტაციაზე დამსწრეთა სახელით ღონისძიებების ორგანიზატორებს მადლობა მოახსენა რელიგიათმცოდნეთა კავშირის გამგეობის წევრმა, პროფესორმა ნანა ციხისთავმა, რელიგიათმცოდნე სერგო ნამორაძემ.

კონფლიქტოლოგიის ცენტრმა პირველად კათოლიკე ეკლესიის პრეზენტაცია მოაწყო და ქართული ანდაზისა არ იყოს წინა კაცის შესახებ, იმედს გამოვთქვამთ, რომ თანდათანობით დაიხვეწება რელიგიურ ორგანიზაციებთან შეხვედრების მოწყობის გამოცდილება და სხვა კონფესიებისა და დენომინაციების პრეზენტაციებიც საყურადღებოდ ჩაივლის.

ნუგზარ ბარდაველიძე

ლოცვა მშვიდობისათვის

კავკასიაში მშვიდობისათვის ლოცვა მთელი კავკასიის მასშტაბით გაიმართა. „გმადლობ, – მწერს ქრისტინე ყარაბაღიდან, – ერთ საათში ჩვენს ორგანიზაციაში იკრიბებიან სომხური სამოციქულო ეკლესიის მღვდელმსახურები და შეუერთდებიან საერთო ლოცვას“. მალე ბაქოდანაც ვიღებ გზავნილს: „ვუერთდებით თქვენს ინიციატივას და 28 მაისს ვილოცებთ კავკასიაში მშვიდობისათვის“, – მწერს მამა იან კაპელა.

სამხრეთ კავკასიის სომეხ კათოლიკეთა ეპისკოპოსს უხარია, რომ საქართველოს მოქალაქე სომხურად ვესაუბრები და მეუბნება: „ჩვენ, როგორც ჩვენი მეგობრები მხითარისტთა ცენტრიდან, ასევე, კანაკერში 28 მაისს ვიქნებით თქვენთან თანაზიარებაში“.

„ჩვენ ვლოცულობთ მშვიდობისათვის. აქ, კავკასიაში სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვის მრავალი ტრადიცია არსებობს. ამავე დროს, უამრავი პრობლემაცაა. ამიტომ ჩვენ ლოცვასთან ერთად უნდა ვიმოქმედოთ კიდეც“, – ამბობს საქართველოს მუსლიმთა წინამძღვარი ახუნდი ალი ალიევი.

სიმეონ ბუტმანი საქართველოში დაბადებული ებრაელია. მისი ნათესავები დიდი ხანია ისრაელში ემიგრაციაში იმყოფებიან. „მე ეს ქვეყანა მიყვარს, მიყვარს მისი ბუნება და ადამიანები. აქედან არასოდეს გავემგზავრები, სამი თვის წინ შვილიშვილიც შემეძინა. მინდა რომ ჩემმა შვილიშვილმა და კავკასიის ყველა ბავშვმა მშვიდობიან ქვეყანაში იცხოვრონ. ისრაელში ყველა ებრაელი მშვიდობისათვის ლოცულობს, იქ კარგად იციან მშვიდობის ფასი“, – ამბობს სიმეონი.

რამდენიმე წლის წინათ, ეკუმენური ლოცვის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა თქვა: „არავინ იცის, სად და როდის აფეთქდება ბომბი“. ეს ახლაც უცნობია. კავკასია ისევ რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ „ცხელ წერტილად“, სადაც იღვრება სისხლი, იღუპებიან ადამიანები და ნადგურდება ბუნება, სადაც მილიონობით ლტოლვილს სამშობლოში დაბრუნების იმედი დაუკარგავს. მაგრამ მაინც არსებობს უნიკალური საშუალება – ლოცვა. სწორედ ამიტომ „კავკასიური სახლის“ ინიციატივით მეშვიდე წელიწადია მთელი კავკასიის სხვადასხვა კონფესიების სალოცავებში და ეკლესიებში, მეჩეთში და სინაგოგაში, გაზაფხულის ერთ დღეს ლოცულობენ მშვიდობისათვის, ღმერთს ევედრებიან დაიცვას კავკასია სტიქიური უბედურებებისაგან, გულგრილობისაგან, სისასტიკისაგან, შიმშილისაგან. ყველანი ლოცულობენ საკუთარი რელიგიური ტრადიციებიდან გამომდინარე, შემდეგ კი „კავკასიურ სახლში“ იკრიბებიან და სხვადასხვა კულტურები და ცივილიზაციები ერთ სიბრტყეზე ლაგდება.

აქ ნახავდით მე-14 საუკუნის ხატს ეჩმიაძინის საგანძურიდან, მექას მეჩეთის ნახატებს, ფილიპინებიდან ჩამოტანილ კათოლიკურ ხატს, ფურცელს თორადან, რომელიც ყველა იუდეველის სახლს ამშვენებს. გერმანიიდან, საფრანგეთიდან, და

თეირანიდან ჩამოსული სტუმრები გაოცებულნი იყვნენ, მათ ისიც აოცებდათ, რომ ერთ დარბაზში ერთმანეთის გვერდით იმყოფებოდნენ კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი და მუსლიმი მოლა, ევანგელურ-ბაპტისტური და სომხური სამოციქულო ეკლესიების მღვდელმსახურნი და სხვადასხვა დენომინაციებისა და კონფესიების წარმომადგენლები. ისმოდა გალობები სხვადასხვა ენებზე.

28 მაისს „კავკასიურ სახლში“ გამართული ღონისძიება იყო მშვიდობის ნამდვილი ზეიმი, რომელმაც კიდევ ერთი წლით სულიერი საზრდო მისცა კავკასიელებს.

ვიქტორია მაქსოევა

ახალგაზრდული გვერდი

შეხვედრა მოზარდებთან

როდესაც ახალგაზრდებთან და ბავშვებთან სხვადასხვა სახის შეხვედრები ეწყობა, რატომღაც არავის აინტერესებს რას ფიქრობენ ამ დროს მოზარდები, რას აკეთებენ, ვის ხვდებიან და საერთოდ იცნობენ თუ არა სხვა საკრებულოების თანატოლებს. ამაზე თურმე ჩვენი მოძღვრებიც ფიქრობდნენ და მამა კარლო დი სტეფანომ და და ჟოზეფინამ გადაწყვიტეს მოზარდებსაც შეხვედროდნენ. სწორედ მათ მოაწყვეს ორი შეხვედრა: ახალშენსა და ბათუმში. მამა კარლოს და და ჟოზეფინას დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდებმაც – ოთხმა გოგონამ ავუბით მხარი (სოფიკო ასტოიანი – ოზურგეთი, ნათია ხითარიანი – შრომა, თამუნა ჩილინგარიშვილი – ქუთაისი, ირმა ჭიღვარია – ახალშენი). შეხვედრისათვის სხვადასხვა თემები მოვამზადეთ: „ვინ ვარ მე?“, „ჩვენ და სხვები“, „მე და ჩემი ოჯახი“, „მეგობრები“, „უფროსები“, „რელიგია“, „იესო ქრისტე – ღმერთი“, „სიყვარული“, „ქალი და კაცი“ და სხვ.

მოზარდებს, ასევე, შეხვდნენ ლალი ჩარკვიანი და ნანა ნებიერიძე. მათ ისაუბრეს სიცოცხლეზე, როგორც ღმრთის მიერ ბოძებული უდიდეს განძზე და მოზარდების გარდატეხის პერიოდზე. ეს ის დროა, როდესაც ყალიბდება ადამიანის პიროვნება და სწორედ ამ ასაკშია აუცილებელი მათზე განსაკუთრებული ზრუნვა და ყურადღების მიპყრობა. ამ შეხვედრის შედეგად მოზარდებმა თავი უფრო სრულყოფილ პიროვნებებად შეიცნეს, გააცნობიერეს, რომ ისინიც საჭირონი არიან საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

ჩვენ ვიცით, რომ როგორც ტელეარხებით, ისე სხვა საინფორმაციო საშუალებებით ვრცელდება უამრავი არაჯანსაღი ინფორმაცია, რაც მოზარდს სულს უმახინჯებს და ცუდი გზისაკენ მიმართავს მათ ცნობიერებას, ამიტომაც ამ ასაკში ისინი განსაკუთრებული ყურადღებას საჭიროებენ. მამა კარლოსა და და ჟოზეფინას განსაკუთრებული ყურადღება მოზარდების მიმართ სწორედ ამან განაპირობა. კარგია, როცა ეკლესია აქტიურად ებმება მათ აღზრდაში და ცდილობს, სასიკეთოდ მიმართოს მათი ინტერესები და დაეხმაროს მათ გაუგებარი და რთული საკითხების გადაწყვეტაში.

ვიმედოვნებთ, ამ წამოწყებას სხვა საკრებულოების ახალგაზრდები და მოძღვრებიც დაუჭერენ მხარს და მოზარდებისათვისაც გამონახავენ დროს. ეს, ალბათ, ყველაზე მეტად ახალგაზრდული საბჭოს პრეროგატივა უნდა იყოს.

ნათია ხითარიანი
სოფიკო ასტოიანი

კროსვორდი

<u>ჰორიზონტალურად</u>

1. შორისდებული, რომელიც გამოხატავს შეგულიანებას
4. ქალის სახელი
9. ფილმი ანუ?
13. მდინარე მცხეთასთან ახლოს
15. ბიძის ცოლი
16. ბიბლიაში გოლიათის დამმარცხებელი
17. შორისდებული, გამოხატავს რაიმეს გაგებას
18. დედალი ცხოველი
19. საჭმელს ვჭამ, ღვინოს...
22. დიდი ისტორიული მონაკვეთი
24. კითხვითი ნაწილაკი
25. ჩასვით "ანა" კუთვნილებით ფორმაში
27. ნაწილაკი, რომელიც მიუთითებს იმაზე, რაც ხდება
29. აჭარის რეგიონის მთავარი ქალაქი
31. ყვავილი
34. "...დიდება ღმერთს"
35. მესამე პირის ნაცვალსახელი
38. ტაბლეტი ანუ?
40. წყალში ყიყინებს
41. ღმერთთან ვსაუბრობ ანუ...
45. სახელი "ლილი" კუთვნილებით ფორმაში
46. მონასტერში მცხოვრები
49. ბჭობა
51. ნაცვალსახელი
52. "ყოფნა" (ზმნა) მესამე პირის მრავლობით რიცხვში
55. გულუბრყვილოდ
56. მზის სხივების გარდატეხა
57. ქუთაისის ანტიკური სახელი
59. იესოს ხორცისა და სისხლის მიღება წირვაზე
63. ათი ათეული
65. ამგვარად
67. რუსთავი 2, იმედი, რიონი, აჭარა... ერთი სიტყვა აერთიანებთ
68. კვლავ
71. კავკასიაში მცხოვრები ერთ-ერთი ხალხის ეროვნება
72. პოეზიის სახეობა, რომელშიც გამოხატულია პოეტის გრძნობები
74. ...და *შენ* უდრის *ჩვენ*
76. "იმხელას" სალიტერატურო ფორმა
79. ხშირი
83. ...ია
84. იმპერატორ კონსტანტინეს დედა
85. რა მოჰგვარა ღმერთმა ადამს, როცა ევას შექმნა გადაწყვიტა?
86. იესომ თქვა, რომ უფრო ადვილია აქლემი შევიდეს ნემსის ყუნწში, ვიდრე ასეთი კაცი ცათა სასუფეველში
88. იგივე პასუხი, როგორც 51-ე კითხვაშია.
90. აკრძალვითი ნაწილაკი

91. ლურჯსა ფერსა, (ია) ფერსა
92. კარგი
93. “ეზოში... ძაღლია!”

<u>ვერტიკალურად</u>

2. ა. აბაშიძის და ე. შევარდნაძის მეტსახელი
3. უზარმაზარი ადამიანი
4. მხეცი
5. უარყოფითი ნაწილაკი
6. პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი
7. იგივეა, როგორც ჰორიზონტალურ გრაფაში 35-ე პასუხი.
8. განუკურნებელი სიმსივნის სახეობა
10. ადგილის გარემოება
11. ხის სახლი
12. სანატრელ რამეზე ფიქრი
14. “ია” კუთვნილებით ფორმაში
17. მესამე პირი, ჩვენებითი ნაწილაკი
18. დედის ან მამის ძმა
20. როდესაც ამაყი ვარ
21. წმიდა მარიამის დედა
23. რა კითვა დაესმის უსულო საგანს?
26. კუნძული იტალიაში
28. ოფიციალური ენა გაერთიანებულ სამეფოში
30. პირველი პირის მხ. რიცხვის ნაცვალსახელი
32. ამ ადგილზე
33. იგივე პასუხი, როგორც პირველ ჰორიზონტალურ გრაფაში.
35. მე ვივლი, შენ...
36. ადვილი
37. რუსეთის მოქალაქე
39. ჩვენებითი ნაწილაკი
42. ადამიანი, რომელიც ვინმეს ან რაიმეს დასცინის
43. ძველ საჭმელს ეკიდება
44. წინასწარ გადახდილი თანხის ნაწილი
47. რამე
48. პირდაპირის ანტონიმი
49. ცნობილი ქართველი კათოლიკე მოღვაწის გვარი
50. იესოს მოწაფე, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო
53. ყვავილი
54. რა აინთება ნაპერწკლიდან?
58. იგივეობის ნაწილაკი
60. ჩვენებითი ნაცვალსახელი
61. პასუხი იგივეა როგორც 44-ე გრაფაში.
62. ქალწული, ვისგანაც იშვა კაცთა მაცხოვარი
63. შორ-ის ანტონიმი
64. რამდენი წელია საუკუნეში?
66. ასე არის
68. რომელი ქვეყნის დედაქალაქია თეირანი?
69. ეკატერინეს კნინობითი ფორმა

70. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი
71. მშვიდობის ანტონიმი
72. რ. ლაღიძის ოპერა
73. ქუთაისში მოქმედი კათოლიკური ცენტრი, რომელიც ემსახურება სიცოცხლისა და ოჯახის დაცვას
75. თანხმობის ნიშანი
77. შეგულიანების ერთგვარი ფორმა
78. მშობელი
80. მზის ამოსვლა
81. სახლში
82. თანმხლების გამომხატველი ბოლოსართი
87. "...ის იყო"
89. პასუხი იგივეა, როგორც 53-ე გრაფაში.

საუკუნო განსვენება მიანიჭე მათ, უფალო!

ხუციშვილი დარო

* 1934 წ. 21 ნოემბერი, სოფ. ხიზაბავრა
† 2006 წ. 19 მაისი, სოფ. ხიზაბავრა

ვანდა გუგუჩია
* 1925 წ. ქუთაისი
† 2006 წ. 19 მაისი, ქუთაისი

სარჩევი

რედაქციის გვერდი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში
კათოლიკე ეკლესია საქართველოში
სოციალური პრობლემები
პოეზიის სვეტი
ინფორმაცია
ახალგაზრდული გვერდი
საყმაწვილო გვერდი

საგანგებო ჩანართი:
ბავშვი დღევანდელ მსოფლიოში

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2006

(რუბრიკა) **საყმაწვილო გვერდი**

ლაურეტა პერასი

პასუხი, რომელიც მნიშვნელოვანია

– დედიკო, რატომ არის წყალი სველი?

– არ ვიცი! რა სასაცილო კითხვებს სვამ! როგორ შეიძლება, ამდენი ხნის შემდეგ ისევ კითხულობდე *რატომ* და რისთვის? პირდაპირ, მაოცებ!

– ჰო, მართალი ხარ, დედიკო... მაგრამ რატომ არის ტერფები ფეხებზე მიბმული და რატომ არის ორჯერ ორი ოთხი და არა ხუთი?

მოკლედ, ჩანდა რომ პატარას კითხვების დასმის მეტი არაფერი შეეძლო. გინდათ გაიგოთ, ვინ იყო იგი? ის კითხვის ნიშანი იყო. იმის წყალობით, რომ მთელ დღეებს ფიქრსა და ათასგვარ კითხვებში ატარებდა, რაც კი თავში მოსდიოდა, კუზი დაეტყო და წელში მოიხარა. ხოლო დედამისი, ქალბატონი *მძიმე* ცოტათი შეფიქრიანდა ამაზე.

– გადი და ითამაშე, სხვაზე ნურაფერზე ნუ იფიქრებ! – ეუბნებოდა პატარას დედა.

– დედიკო, – მიმართა მან ერთ დღეს, – გადავწყვიტე, გარეთ გავიდე, მაგრამ არა სათამაშოდ; მინდა მსოფლიო შემოვიარო და ვნახო, ვიპოვი თუ არა პასუხებს ჩემს ყველა კითხვაზე.

როგორ არ ეცადა დედამისი, გადაეფიქრებინა, რჩევაც მისცა, მერე კი ნება დართო, წასულიყო. კითხვის ნიშანი გზას დაადგა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ მთას შეხვდა. ვინ იცის, რატომ აქვთ მთებს წვერი, იფიქრა და გადაწყვიტა, ეს თავად მთისთვის ეკითხა.

– რატომ... – დაიწყო შეკითხვა.

– რატომ... – მოესმა პასუხად.

– ...აქვთ... – გააგრძელა შეკითხვა.

– ...აქვთ – პასუხი გამოსცეს მთებმა.

– ... მთებს...

– ...მთებს...

– ...წვერი?

– ...წვერი?

– უჰ, ეს ხომ ჩემს ნათქვამს იმეორებს! ალბათ, არც მან არ იცის მიზეზი და ამას მე მეკითხება, საცოდავი! – ფიქრობდა კითხვის ნიშანი, რომელმაც არ იცოდა, რომ პასუხს ექო გამოსცემდა და იმედგაცრუებული დაშორდა.

ბევრი იარა თუ ცოტა, იგი ქალაქს მიადგა. მან გალავანს გადააბიჯა და ირგვლივ მიმოიხედა, სკამს ეძებდა ჩამოსაჯდომად. უცებ ერთ გრძელ სკამს მოჰკრა თვალი, მასზე ორი მოხუცი ბატონი ჩამომჯდარიყო.

– უჰ, რა კარგია! – გაიფიქრა კითხვის ნიშანმა, – როგორი მშვიდები არიან ეს ბატონები, ალბათ, ბევრი რამ ნახეს ცხოვრებაში. მათ ნამდვილად ექნებათ მნიშვნელოვანი პასუხები. იგი იმედით უგდებდა ყურს მათ საუბარს. ერთ-ერთი მოხუცი ამბობდა:

– მე ვკითხულობ, რატომ არიან დღევანდელი ახალგაზრდები უკმაყოფილოები: ყველაფერი აქვთ და მაინც ვერასოდეს კმაყოფილდებიან.

– მე კი ვკითხულობ, რატომ ვბერდებით, რატომ აღარ მემორჩილება ფეხები უწინდებურად, რატომ აღარ მაქვს ადრინდელი მეხსიერება?

მათაც უნუგეშოდ დაშორდა კითხვის ნიშანი. აქამდე იგი მხოლოდ იმას კითხულობდა, თუ რატომ იყო წყალი სველი ან მთას რატომ ჰქონდა წვერი. ახლა კი აღმოაჩინა, რომ უფრო მნიშვნელოვანი კითხვებიც არსებობს. და წინანდელზე უფრო დამწუხრდა.

გზაზე მოხრილი და ჩაფიქრებული მიდიოდა, როდესაც თავზე ქაღალდის თვითმფრინავმა გადაუფრინა. თვალები ზემოთ ასწია და შეამჩნია, რომ სკოლასთან ახლოს მიაბიჯებდა.

– როგორ გამიმართლა! – წამოიძახა მან – ფანჯრის ქვეშ დავდგები და ასე მოვუსმენ. დარწმუნებული ვარ, აქ მაინც ვიპოვი იმ პასუხებს, რასაც ვეძებ. განა სკოლა ამისათვის არ არსებობს?

კითხვის ნიშანი წელში ისე გასწორდა, რომ ფანჯრის რაფამდე ავიდა. მასწავლებელი, კათედრასთან იდგა და ამბობდა: ძალიან მინდა გავიგო, რატომ არაფერი შედის თქვენს გოგრებში? რატომ უნდა ვიყბედო ტყუილად? რატომ ავირჩიე მასწავლებლობა? კითხვის ნიშანი გაშეშდა ამ კითხვების მოსმენაზე. თუ მასწავლებელმაც არ იცოდა როგორ გაეცა პასუხი, გამოდის, რომ პასუხები არც არსებობს.

მაგრამ სადღაც ხომ მაინც იარსებებს. მერე თავის თავს ეუბნებოდა: ფეხსაცმელი იმიტომ არის, რომ არსებობს ტერფები, გათბობა იმიტომ არის, რომ სიცივე არსებობს, მაშასადამე, თუკი კითხვებია, პასუხებიც უნდა იყოს. კარგად მსჯელობდა არა? ამასობაში ქალაქი უკან მოიტოვა და სოფელს მიადგა. შუა მინდორში ორი ბატი დაინახა, ხის ჩრდილში წამოწოლილიყვნენ და წიგნს

კითხულობდნენ, რომელიც თივაში ეპოვათ. რადგანაც საინტერესო სახეები ჰქონდათ, კითხვის ნიშანი მათ მიუახლოვდა. ალბათ, ამ წიგნში ყველა ის პასუხი იყო, რასაც თავად ეძებდა. მიუახლოვდა ბატებს, წიგნს დახედა და... ადგილზე გაშეშდა!

– რატომ კითხულობთ წიგნს უკუღმა? – ვერ გაძლო, რომ არ ეკითხა.

– იმიტომ, რომ ბატები ვართ! – უპასუხეს მათ მხიარულად.

კითხვის ნიშანი მინდორზე წამოგორდა და სიცილი აუვარდა.

– ესეც შენი პირველი პასუხი, რასაც ეძებდი! – წამოიძახა და დაუფიქრებლად იკითხა:

– ბატონო ბატებო! ვხედავ როგორი გონიერებიცა ხართ, შეგიძლიათ მითხრათ, რატომ აქვს მთას წვერი? რატომ არაფერი შედი მოსწავლეების გოგრაში? რატომ არიან დღევანდელი ახალგაზრდები უკმაყოფილოები? რატომ?..

კითხვის ნიშანი უსასრულოდ სვამდა კითხვებს, სულსაც არ ითქვამდა, იმის შიშით, რომ, აქაოდა, მნიშვნელოვანი კითხვა არ დამავიწყდესო!

ბატებმა ერთმანეთს გადახედეს გასაგები ღიმილით, მერე ერთმა თქვა:

– მე ყველა შენს კითხვაზე მაქვს პასუხი, ოღონდაც ერთი წუთით დამაცადე, ახლავე დავბრუნდები.

კითხვის ნიშანი მღელვარებას აეტანა: ხუმრობა ხომ არ იყო?! მას ყველა თავის კითხვაზე უნდა მიეღო პასუხი: არც კი სჯეროდა! ბატი ხელში უთოთი დაბრუნდა. კითხვის ნიშანი მინდორზე წამოაწვინა, გადაუსვა და გადმოუსვა ზედ უთო და როდესაც კითხვის ნიშანი ფეხზე წამოდგა, იგრძნო... ძახილის ნიშანი იყო! და მოულოდნელად მან ყველაფერზე მნიშვნელოვანი პასუხი იპოვა: ცხოვრება მშვენიერია! ამას ახლავე ამცნობდა ყველას. გაიქცა ქალაქში და იპოვა ის ორი მოხუცი ბატონი, ბაღში რომ საუბრობდნენ.

– რატომ იზრდება ფასები? – კითხულობდა ერთი. ბაღს მერცხალმა გადაუფრინა. ძახილის ნიშანი სწრაფად მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა მოსაუბრე მოხუცს:

– გაზაფხული მოდის!

მოხუცმაც ხმამაღლა გაიმეორა:

– გაზაფხული მოდის! არ ვიცი, ფასები რატომ იმატებს, მაგრამ მინდა ამ დღის სილამაზით გავიხარო. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ხომ ასე მშვენიერია!

კითხვის ნიშანმა მომღიმარი დატოვა ორივე ბატონი და სკოლისაკენ გაემართა.

– ფაუსტო, მითხარი ერთი, რატომ ... –ეკითხებოდა მასწავლებელი.

– ოჰ, არა, – გაიფიქრა ძახილის ნიშანმა, – უნდა შევაჩერო.

მან მერხებში გაიარა ჩურჩულით:

– ეზოში ხემ პირველი კვირტები გამოიღო!

ბავშვები გუნდად იმეორებდნენ მის სიტყვებს. მასწავლებელმა გაიღიმა და თქვა:

– კარგით, კითხვები გვერდზე გადავდოთ და ეზოში გავიდეთ. დღეს უფრო მნიშვნელოვან გაკვეთილს შეისწავლით: ცხოვრება მშვენიერია! *(მასწავლებისთვისაც*, თავისთვის დაამატა).

კითხვის ნიშანი სახლში ბედნიერი დაბრუნდა. დედამ გულში ჩაიკრა და უთხრა:

– ჩემო საყვარელო! როგორ გაზრდილხარ?! კმაყოფილიც ჩანხარ! იპოვე ის პასუხები, რასაც ეძებდი? მაშ, მითხარი, რატომ არის ორჯერ ორი ოთხი და წყალი სველი?

– არ ვიცი დედიკო, მაგრამ ის კი ვისწავლე, რომ ბევრი კითხვა ბევრ დარდს აჩენს, ამიტომაც თავი უნდა დავანებო. მე ერთადერთი პასუხი ვიპოვე, ყველაზე მნიშვნელოვანი: სიცოცხლე მშვენიერია თავის კითხვებთან ერთად!

ბავშვი დღევანდელ მსოფლიოში

საგანგებო ჩანართი

1 ივნისი ბავშვთა საერთაშორისო დღე იყო. ალბათ მსოფლიოს მრავალი ბავშვი იყო ბედნიერი ამ დღეს. მაგრამ იგივეს გრძნობდნენ მსოფლიოს იმ კუთხის პატარები, რომლებიც გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან და ძლიერნი ამა სოფლისანი მათ პრობლემებს უყურადღებოდ ტოვებენ? როგორია დღეს აქ ბავშვთა მდგომარეობის რეალური სურათი? შევეცადეთ ბავშვთა სამყარო სწორედ ამ პრობლემური კუთხიდან წარმოგიდგინოთ. სტატიაში გამოყენებულია "Civiltà cattolica"-ში (04.02.2006წ.) ***ჯუზეპე დელ როზას*** *მიერ დაბეჭდილი მასალა. ჩვენი მხრივ, მკითხველებს ვთხოვთ, ვისაც ბავშვთა მდგომარეობაზე საინტერესო ინფორმაცია ან მასალა მოეპოვება, გამოგვეხმაურონ და მოგვაწოდონ რედაქციაში.*

თუკი დღევანდელ მსოფლიოში ბავშვების მდგომარეობაზე დავფიქრდებით, ჩვენს ყურადღებას ორი ფაქტი მიიქცევს: ბავშვების სასარგებლოდ შედგენილი, მსოფლიოს ყველა მთავრობის მიერ ხელმოწერილი აუარებელი დოკუმენტების რიცხვი და ის მცირედი, რაც მათთვის კეთდება, რომელთა ტრაგიკული მდგომარეობა, თუკი არ უარესდება – რაც მრავალჯერ მომხდარა – არც იცვლება, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებები შეიმჩნევა, თუმცა აშკარად ნელი ტემპით. მართლაც, ამ დოკუმენტების მიერ წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები არასოდეს განხორციელებულა დადგენილ დროს, ხოლო თუ შესრულდა, ისიც ძალზე მცირე დოზით.

ბავშვთა უფლებების კონვენცია

ბავშვთა ცხოვრების პირობებისადმი ქვეყნების დაინტერესება 1948 წელს დაიწყო, როდესაც *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ* 25-ე თავში განაცხადა, რომ ბავშვებს აქვთ "უფლება განსაკუთრებულ ზრუნვასა და დახმარებაზე". 1959 წელს *გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე* დაამტკიცეს *ბავშვთა უფლებების დეკლარაცია*, რომელიც აცხადებს ბავშვის უფლებას განათლებაზე, სამედიცინო ზრუნვასა და განსაკუთრებულ მფარველობაზე. 1979 წელს, როდესაც პირველად აღინიშნა ბავშვთა საერთაშორისო წელი, *გაერო*-მ გადაწყვიტა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც ბავშვების უფლებათა კონვენციაზე იმუშავებდა; კონვენცია საბოლოოდ ძალაში შევიდა 1990 წელს. ამავე წელს, ნიუ იორკში შედგა საერთაშორისო კრება ბავშვთა საკითხებზე, მასში ჩაერთო 71 ქვეყნის მეთაური, რომლებმაც ხელი მოაწერეს მსოფლიო *დეკლარაციას ბავშვების გადარჩენის, დაცვის და განვითარების საკითხებზე და სამოქმედო გეგმას* მისი შესრულებისათვის, 2000 წლამდე შესასრულებელი მიზნების მითითებით.

1994 წელს, ოჯახების საერთაშორისო წელს, ხელახლა დაამტკიცეს პრინციპი, რომ დახმარების პროგრამები უნდა შველოდეს ოჯახებს ბავშვთა აღზრდასა და დაცვაში, და არა მათი ფუნქციების შეცვლაში. 2000 წელს *გაერო* იღებს ორ *ოპტიმალურ ოქმს ბავშვთა უფლების კონვენციაზე*: პირველი, შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა ჩართვის საკითხზე; მეორე, ბავშვთა გაყიდვაზე, ბავშვთა პროსტიტუციაზე და პორნოგრაფიაზე. ამავე წელს *გაერო*-მ ბავშვთა საკითხებისადმი მიძღვნილ სესიაზე მოვალეობად აიღო *"სამყაროს აგება ბავშვთა თვალსაწიერით"*, და აცხადებდა, რომ პირველი პასუხისმგებელი ბავშვის

დაცვაზე, განათლებასა და განვითარებაზე არის ოჯახი, ამიტომაც მან ადეკვატური დახმარება და შეწევნა უნდა მიიღოს.

ყველა ამ დოკუმენტში აშკარად იკვეთება ყურადღება იმაზე, თუ როგორ "განსაზღვრონ ბავშვობა", როგორც "დიდების ასაკიდან გამოყოფილი ეტაპი". ამიტომაც, ბავშვებს "განსაკუთრებული დახმარება და შეწევნა" სჭირდება, და რომ ის რაც დიდებს სჭირდებათ, აუცილებლად როდი შეეფერება ბავშვებს. ამიტომაც *კონვენცია* ადგენს ასაკს და როლს შეიარაღებულ არმიაში მსახურებისთვის; ეხმარება ოჯახს ბავშვის ცხოვრებაში თავისი როლის შერულებაში, რამდენადაც ოჯახი მისი ზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემოა; აცხადებს, რომ ყველა ბავშვს, ცხოვრებისეული პირობების მიუხედავად, თანასწორი უფლება აქვს, ანუ მათ აქვთ საკუთრივი უფლება, და არცერთი ბავშვი მეორეზე მეტი არ არის; ასევე აცხადებს, რომ საზოგადოება ღიად უნდა დაუპირისპირდეს პატარების შეურაცხყოფისა და ექსპლუატაციის ფაქტებს.

2002 წ. *გაერო*-მ 2015 წლამდე მისაღწევი რვა მიზანმიმართულება დაისახა, მათ შორისაა: *უკიდურესი სიღატაკისა და შიმშილობის აღმოფხვრა, იმ პირთა რიცხვის განახევრება, რომელთა დღიური შემოსავალი 1 დოლარზე დაბალია; საყოველთაო პირველადი განათლების მიღწევა; 5 წლამდე ასაკის ბავშვებში სიკვდილიანობის 2/3 კოეფიციენტის შემცირება; შიდსის, მალარიის და სხვა მძიმე დაავადებების გავრცელების შეცერება და შეცვლა; პროცენტული განახევრება იმ პიროვნებებისა, ვინც მოკლებულია სასმელ წყალს და უმთავრეს ჰიგიენურ მომსახურეობას.*

"უკმარისობა", რის გამოც დღეს ბავშვები იტანჯებიან

თუკი ყველა ეს მიზანი 2015 წლამდე არის მისაღწევი, რა სურათი იკვეთება დღეს და რა პირობებია შექმნილი მათი განხორციელებისათვის? მილიარდზე მეტი პატარა, ანუ ნახევრზე მეტი იმ პატარებისა, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობენ, ამა თუ იმ საჭიროების უკმარისობით იტანჯებიან.

საკვების უკმარისობა: განვითარებადი ქვეყნების ბავშვტა 16%-ზე მეტი ცუდი კვებით იტანჯება. 90 მილიონი ბავშვის ნახევარზე მეტი სამხრეთ აზიის მკვიდრია; მრავალი მათგანი ანემიისა და სხვადასხვა დაავადების სამიზნეა. უმრავლესობის მდგომარეობა ჯერ კიდევ დაბადებისთანავე მძიმეა; ზოგსაც პრობლემები აქვს სწავლაში, თუკი ოდესმე სკოლაში წავლენ; ზოგიც კიდევ მთელი ცხოვრება ყველაზე ღატაკია ღატაკთა შორის.

წყლის უკმარისობა: დაახლოებით 400 მილიონი ბავშვი ვერ სვამს სასმელ წყალს. მძიმე ვითარებაა აფრიკაში, კერძოდ, რუანდაში, ეთიოპიაში და უგანდაში ხუთიდან ერთი ბავშვი სვამს დაბინძურებულ წყალს. არ ზრუნავენ დაავადებებზე, არ დადიან სკოლაში. განსაკუთრებით გოგონებს უწევთ ფეხით გავლა წყლის ასაღებად.

ჰიგიენური სამსახურის უკმარისობა: განვითარებად ქვეყნებში 50 მილიონზე მეტი ბავშვი ვერ იღებს ჰიგიენურ მომსახურებას.

სანიტარული უკმარისობა: დაახლოებით 270 მილიონი პატარა ვერ იღებს სანიტარულ დახმარებას, მათ შორის ვერ იღებს ექვს ძირითად პირველად ვაქცინაციას, და თერაპევტიულ წამლებს დიარეას შემთხვევაში.

საცხოვრებელის უკმარისობა: დაახლოებით 40 მილიონი ბავშვი უსახლკაროა.

განათლების უკმარისობა: 40 მილიონამდე პატარას, 7-დან 18 წლამდე, არასოდეს უვლია სკოლაში. საჰარისპირა აფრიკაში პროცენტულობა სამმაგდება გოგონებში, ხოლო ბიჭებში ორმაგდება.

სამწუხაროდ, აქ ჩამოთვლილი უკმარისობები ერთმანეთში არიან გადაჯაჭვულნი და ერთმანეთს ამაგრებენ. შედეგად, ამგვარ მდგომარეობას მოყვება ის, რომ ყოველდღიურად, დაახლოებით 29.000 ბავშვი (წელიწადში 10,6 მილიონი) 5 წლამდე ასაკის ბავშვი, იოლად ასაცილებელი დაავადებებით იღუპება, როგორიცაა: დიარეა, სასუნთქი გზების ანთება, მალარია. ამასთანავე, ძალზე მწირია იმედი იმისა, რომ გაერო-ს მიერ დასახული მიზნები საბოლოო მიზანს მიაღწევენ, აფრიკისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში ეს წარმოუდგენელიც კია. აღსანიშნავია, ასევე რომ ყოველწლიურად 500.000 ქალი იღუპება მშობიარობისას ან ორსულობის დროს გართულებებით, და ბავშვები ობლად რჩებიან.

შეიარაღებული კონფლიქტები, შიდსი და სამხედრო ხარჯები

სიღატაკის ამგვარი პირობის შექმნას ხელს უწყობს შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვების ჩართვა. ბავშვები ომის პირველი მსხვერპლნი არიან, რადგანაც ისინი გასაოცარი გაშმაგებით იბრძვიან, მეტწილად, აფრიკაში, მაგრამ, კიდეც რომ გადარჩნენ, ობლებად რჩებიან, მათ ან მოიტაცებენ ან ისეთ ტრამვას მიიღებენ, რაც პირდაპირ კავშირშია ძალადობასთან, აოხრებასთან და სიღატაკესთან. ისინი იძულებულნი ხდებიან, წავიდნენ ომში, აიტანონ სექსუალური ძალადობა, იქცნენ მონებად და გახდნენ საბრძოლო ნაღმების აფეთქების მსხვერპლნი, რაც ყოველწლიურად ათასობით სიკვდილიანობისა და დასახიჩრების მიზეზია. სექსუალური ძალადობის, შეურაცხყოფის, ექსპლუატაციისა და დისკრიმინაციის საშიშროებაში განსაკუთრებით იმყოფებიან გოგონები სამხედრო პირების მხრიდან, როგორც კონფლიქტების მიმდინარეობისას, ასევე მისი დამთავრების შემდგომ ეტაპზეც. მრავალი გოგონა იძულებულია შეირაღებულ ძალებში წავიდეს, ხელში აიღოს იარაღი და მოკლას.

ზემოქმედება შიდსით დაავადებულ ბავშვებზე. ბავშვობის ასაკს, თავისი კომპლექსურობით, ემუქრება შიდსის ვირუსი. 2003 წლის ბოლოს 18 წლამდე ასაკის 15 მილიონი ბავშვი ამ დაავადების გამო დაობლდა. მათგან, 10-დან 8 საჰარისპირა აფრიკის ზონაში ცხოვრობდა. დღეს, 2 მილიონზე მეტი 15 წლამდე ასაკის პატარა არის შიდსის ინფექციის მატარებელი. თუკი სასწრაფოდ და გადაჭრით არ მოხდება ინტერვენცია ვირუსის შესაჩერებლად, ვარაუდობენ, რომ 2010 წლამდე 18 მილიონზე მეტი აფრიკელი პატარა დაკარგავს ერთ ან ორივე მშობელს შიდსის მიზეზით. მშობლის დაკარგვა ბავშვის ცხოვრების ყველა ეტაპს მძიმე დაღს ასვამს: მათ ემოციონალურ კეთილდღეობას, ფიზიკურ თავდაცვას, გონებრივ განვითარებას და ჯანმრთელობას მთლიანობაში. ისინი მოკლებულნი არიან იცხოვრონ ოჯახურ გარემოში. ძალადობისაგან, შეურაცხყოფისაგან და სექსუალური გამოყენებისაგან დაუცველები, თავიანთ ადგილს ისინი ქუჩაში პოულობენ.

უცხოეთის ვალი: მრავალი განვითარებადი ქვეყანა უფრო მეტად ვალების გასტუმრებაში ხარჯავს ფულს, ვიდრე განათლებასა და ჯანდაცვაში. ამ მიზნისათვის ზოგი შემოსავლის 10%-ს ხარჯავს. საჰარისპირა აფრიკაში საშუალო ფასი უცხოური ვალის დასაფარავად დაახლოებით 80 დოლარია ერთ ოჯახზე, ანუ თითქმის საშუალო თანხის ნახევარი (173 დოლარი), რასაც ოჯახი მთლიანობაში ხარჯავს წელიწადში ჯანმრთელობისა და განათლებისათვის. ამიტომაც, ვალების მიტევება, ანდა ნაწილობრივ მაინც ჩამოცილება, მდიდარი კრედიტორი ქვეყნების მხრიდან დიდი დახმარება იქნებოდა სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამხედრო ხარჯები: დღევანდელ მსოფლიოში თავდაცვის სფეროში თითქმის წელიწადში ნახევარი მილიარდი დოლარი იხარჯება: თანხა, რომელიც ბევრად აღემატება წლიურ ღირებულებას 40/70 მილიარდს, რაც აუცილებელია

2015 წლის ფარგლებში იმ ათასწლეულის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, რაც ბავშვთა უფლებების კონვენციაშია მითითებული. ასე რომ, თუკი სამხედრო ხარჯების სულ რაღაც 0,5% გამოყენებული იქნება აცრებისათვის, შესაძლებელი იქნება მსოფლიოს ყველა ბავშვის იმუნიზაცია მომავალ ათწლეულში; სამხედრო ხარჯებზე 1%-ის ჩამოჭრაც კი საკმარისი იქნება პირველადი განათლების მისაცემად პლანეტის ყველა ბავშვისათვის. გულსატკენი ფაქტია და აბსურდულიც, რომ ბევრი გაჭირვებული ქვეყანა გაცილებით მეტს აბანდებს საომარი იარაღის შეძენასა და სამხედრო პერსონალის რჩენაში, ვიდრე ამას საჭიროებს ჯანდაცვა და განათლება.

ბავშვთა ტრეფიკინგი

ბავშვების ტრეფიკინგში იგულისხმება არაკანონიერ და მომგებიან საქმიანობაში გამოყენების მიზნით მცირეწლოვანთა გადაყვანა ერთი ქვეყნის შიგნით ადგილის მონაცვლებით ან საზღვრების გადაკვეთით: ამ ფორმით, ბავშვი, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ისე გადაადგილდება, როგორც გაცვლა-გამოცვლის საქონელი. ტრეფიკინგის ქსელში ბავშვები სხვადასხვა გზით ხვდებიან: ზოგჯერ ან მოტყუებით ან გატაცებით, ზოგჯერ უშუალოდ ოჯახი აძლევს მათ ტრეფიკატორებს ან მათ შუამავლებს, ვალების მიტევების სანაცვლოდ, განათლების ან ხელობის ათვისების დაპირებით, ან სულაც მათ ფულში ცვლიან.

საქმიანობა, რაშიც ძირითადად "ტრეფიკინგის" მსხვერპლი პატარები ებმებიან, მდიდრების ოჯახში შინამოსამსახურეობაა, ასევე იძულებითი შრომა, სექსუალური ექსპლუატაცია, ინდუსტრიებში და პლანტაციებში სამუშაოები, შვილად აყვანისა და ორგანოების ტრეფიკინგი. ყველაზე გავრცელებული ამ ტიპის სამუშაოებში არის პატარების შრომა მაღაროებში, კარიერებსა და ღუმელებში, ნაგვების შეგროვება, ტვირთის გადაზიდვა, აბრეშუმის, ტანისამოსის, ფეხსაცმელების, ფარდაგების, ბურთებისა და სათამაშოების დამუშავება.

სამწუხაროდ, ზუსტი სტატისტიკა ტრეფიკინგში ჩართულ გოგო-ბიჭების შესახებ არ არსებობს; ვარაუდობენ, რომ მხოლოდ ქალებისა და გოგონების ტრეფიკინგს აზიაში, სექსუალური გამოყენების მიზნით, უკვე 30 მილიონზე მეტი მსხვერპლი ჰყავს.

იუნისეფ-ი ზოგიერთ მონაცემს გვაწვდის, მაგალითად: ყოველწლიურად 5000-7000 გოგონა ნეპალიდან ჩამოჰყავთ ინდოეთში და მათი უმრავლესობა ბომბეისა და ნიუ დელიში ხვდება. ამბობენ, რომ 200.000 ნეპალელი ქალბატონი, მათი უმრავლესობა 18 წლამდე გოგონა, იძულებული გახდა ინდოეთის ქალაქებში პროსტიტუციაში ჩართულიყო. ცენტრალურ დასავლეთ აფრიკაში გოგო-ბიჭების უმრავლესობა, მეტწილად, საშინაო სამუშაოების ტრეფიკინგის სამიზნეები არიან, თუმცა მათ იყენებენ ასევე სექსის ინდუსტრიაში, მაღაზიებსა და ფერმებში, ნაგვის მძებნელებად და ნარჩენების გამსაღებლებად. საშინაო საქმით დაკავებული ბავშვების თითქმის 90% გოგონები არიან. ბავშვები ტოგოდან, მალიდან, ბურკინა ფასოდან, განადან, ტრეფიკინგის სამიზნე ხდებიან ნიგერიასთან, სპილოს ძვლის, კამერუნის და გაბონის ქვეყნებთან. ზოგი მათგანი ევროპასა და შუა აღმოსავლეთშიც იგზავნება.

ასეა თუ ისე, ადამიანების ტრეფიკინგი უდიდეს ინდუსტრიად ჩამოყალიბდა, რომელსაც თამამად შეუძლია გაეჯიბროს იარაღისა და ნარკოტიკების ტრეფიკიგს. *იუნისეფ*-ს მიხედვით საუბარია წლიურად 10 მილიარდი დოლარის ღირებულებაზე, რაც საბოლოოდ კრიმინალური ორგანიზაციების ჯიბეებში ხვდება. დღეს ეს საქმიანობა "გლობალიზებულია", ანუ უაღრესად იოლი და სწრაფი გზით ხდება გადაადგილება ქვეყნიდან ქვეყანაში, გამოიყენება ყველა ის

საკომუნიკაციო საშუალება, რასაც თანამედროვე ავანგარდული ინფორმატიკა სთავაზობს და ერთმანეთში აწარმოებენ თანხმობას.

ასე მაგალითად, იტალიაში *"კამორა"* შეკრულია ალბანურ შავ სამყაროსთან, რომელიც საერთაშორისო დონეზე თავისი კრიმინოგენური ძალით არის ცნობილი, რითაც ალბანეთი საერთაშორისო ტრეფიკინგის გზაჯვარედინად აქცია. სინამდვილეში, დღეს ალბანელები ტრანსნაციონალურ კრიმინალურ საქმიანობისა და დინებების დიდ ნაწილს აკონტროლებენ და კავშირში არიან თურქეთისა და კოლუმბიის კრიმინალებთან, იმდენად, რომ ალბანურ დანაშაულებრივ სამყაროს ფართო არჩევანი აქვს იარაღების, რომლებიც ოთხმოცდაათიან წლებში სამხედრო ბაზებიდან ამოიღო, რითაც ნებისმიერი კრიმინალური ორგანიზაციების მომარაგება შეუძლიათ.

ტრეფიკინგის სამიზნედ ქცეული გოგო-ბიჭების ერთ-ერთ გამსაღებლად ითვლება ევროპა. მათი წარმომავლობის ქვეყნებია აღმოსავლეთ ევროპა და აფრიკა, კერძოდ, ნიგერია. ნიგერიელი გოგონები სამუშაოს დაპირებებით, მოტყუებით ბარდებიან ნიგერიელ ე. წ. "მადამებს", რომლებიც მათ ხარჯებს სტყუებენ, გოგონები ვერ გაექცევიან მონურ პირობებს, რადგანაც მათ ჩამოერთმევათ პირადი დოკუმენტები. ძალზე ძნელია იმის თქმა, თუ ევროპაში რამდენი მცირეწლოვანია იძულებით ჩართული პროსტიტუციაში. მხოლოდ იტალიაში 40-70.000 იქნება და 500.000-მდე ევროპაში, მთელს მსოფლიოში კი 2 ან 3 მილიონი. შეიძლება ითქვას, რომ "კლიენტის" ასაკი კლებულობს: 6% ახალგაზრდა, 16-დან 24 წლამდეა; 20% 24-დან 40 წლამდეა.

მცირეწლოვანთა შრომა

უკვე აღვნიშნეთ შრომის მრავალგვარი ფორმა, რაშიც იძულებით არიან ჩართულნი პატარები. აქვე ვაღიარებთ, რომ ძალზე ხშირად საუბარია უკიდურესად გაუსაძლის და საშიშ შრომაზე. წარმოიდგინეთ მაღაროში მუშაობა. პატარები მიწის შუაგულში წინასწარ გაყვანილი, ვიწრო და ოდნავ განათებული გვირაბით ჩადიან, სადაც ჰაერი მტვერით არის გაჟღენთილი. სასიკვდილო ინციდენტების რისკი პერმანენტულია შიდა აფეთქებების, ლოდების და კლდეების ჩამოცვენის მიზეზით. ისინი, ვინც ოქროს მაღაროში მუშაობენ, სუნთქავენ მერკურს, რასაც კლდიდან ოქროს გამოსაღებად ხმარობენ, რომლის ტოქსინებიც საბოლოოდ აზიანებენ ნერვულ სისტემას. ხშირად ბავშვები იძულებულნი არიან დიდების სამუშაო შეასრულონ. მაგალითად, მიწისქვეშეთიდან მინერალის ამოღება, მონაწილეობენ მათ გაფილტვრაში, გვირაბების განწმენდაში; ანდა წმენდნენ ქვებს და არჩევენ ოქროს შემცვლელებს. ხშირად გოგონებს უწევთ მძიმე ტვირთის ტარება თავით და მხრებით. ზოგადად, შეფასებული არ არის ამგვარი პირობაში მყოფი ბავშვების მდგომარეობა, მათ მოიხსენებენ როგორც მოზრდილების "დახმარებად", ამიტომაც არ აღრიცხავენ ან თუ აღნიშნავენ ხელფასი მოზრდილებთან შედარებით მწირია.

მეორე მძიმე ასპექტი ბავშვთა მუშაობისა მანუფაქტურულ წარმოებაშია. ის დღეში 10-12 საათი გრძელდება, კვირის ყველა დღეს, ჯანმრთელობისათვისას საზიანო პირობებში, ყოველგვარი ხელფასისა და არასაკმარისი კვების ხარჯზე; ხშირად ბავშვები ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ქვეშ ექცევიან, ასეთი პირობებიდან ისინი თავს ვერანაირად იძვრენენ: ანუ ნამდვილ მონობაში იმყოფებიან. გოგონები კი, გარდა იმისა, რომ ბიჭების თანასწორად უწევთ მუშაობა, ჩაბმულნი არიან პროსტიტუციაში, საიდანაც ისინი ძალზე მცირედ ანაზღაურებას იღებენ, რადგანაც თანხის უმეტესობა "პატრონს" რჩება.

რაც შეეხება იმ გოგო-ბიჭებს, რომელთა ცოცხალ ორგანოებს მდიდარი ქვეყნის ბავშვების გადასარჩენად იყენებენ (ჩრდილოეთი ამერიკა, ევროპა,

ავსტრალია), ამის შესახებ, მართალია, ხშირად საუბრობენ, მაგრამ არ არსებობს მყარი მონაცემები და ცოცხალი მაგალითები: ამან არც უნდა გაგვაკვირვოს, რადგანაც ეს იმდენად ამაზრზენი და სამარცხვინო რეალობაა, რომ ყველაფერს აკეთებენ მის მისაჩქმალად. სამწუხაროა ისიც, რომ ამ ჯოჯოხეთურ გარიგებებში მონაწილეობენ ექიმები. დუმილი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ამ სევდისმომგვრელ ფენომენს, ხელს უწყობს დამნაშავეებს, რომ გაექცნენ სამართალს.

შესაძლებელია ბავშვთა პირობების გაუმჯობესება

მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით აშკარა ხდება, თუ რაოდენ ტრაგიკულია დღევანდელობაში ბავშვთა მდგომარეობა. ცხადია, სულ სხვა მდგომარეობაა მდიდარ ქვეყნებში (ჩრდილოეთი ამერიკა, ევროპა, იაპონია, ავსტრალია), სადაც ბავშვები ყველანაირი ზრუნვით არიან მოცულნი, რათა გაიზარდონ ჯანმრთელნი, მათ საჭიროზე მეტიც კი აქვთ, რის გამოც ზოგჯერ გადაჭარბებული კეთილდღეობით გამოწვეული დაავადებებისგან განკურნებას საჭიროებენ. თუმცა ამ ქვეყნებშიც იტანჯებიან ბავშვები შიმშილით, აკლიათ სამედიცინო მომსახურეობა და იძულებულნი არიან, მძიმე სამუშაო შეასრულონ. გავიხსენოთ, მაგალითად, სამხრეთ იტალიაში სეზონური სამუშაოები, რომელსაც ბავშვები და მოზარდები ასრულებენ; ბავშვები, რომლებიც "პატრონის" ბრძანებით იძულებულნი არიან ქურდობით, ძარცვით და ნარკოტიკების ვაჭრობით იშოვონ ფული.

ყოველ შემთხვევაში, განვითარების გზაზე შემდგარ ქვეყნებში ბავშვთა მდგომარეობა, ყველა გადმოსახედიდან, უბრალოდ ტრაგიკულია, რაც კაცობრიობის სინდისის წინაშე მრავალ ნაღვლიან კითხვას სვამს. "კაცობრიობის" სინდისი, ანუ იმ ქვეყნის ყველა მოქალაქე, რომელიც დედამიწის სიმდიდრის დიდ ნაწილს ფლობს, თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ და ფლანგავენ მას. არცთუ იშვიათად ბრალს სდებენ პოლიტიკურ კლასს, რომ არ ზრუნავენ იმ შემაშფოთებელ პრობლემებზე, რასაც ჩამორჩენილობა იწვევს გაჭირვებულ ქვეყნებში ბავშვების საზიანოდ; მაგრამ მხედველობაში არ იღებენ, რომ პოლიტიკოსები ნაბიჯს არ გადადგამენ, თუკი ქვემოდან არ იქნა ბიძგი, ანუ ხალხისაგან, რომელიც რაღაც მსხვერპლს გაიღებს გაჭირვებული ქვეყნების სასიკეთოდ. დღეს პლანეტის მდიდარ ქვეყნებში ღრმა ეგოიზმი მეფობს, რაც მათ ხელფეხს უბორკავს მოკრძალებული მსხვერპლის გასაღებად, თუმცა არც დიდად დაგიდევენ იმ ტრაგიკულ ვითარებას, რომელშიც მილიარდობით ადამიანს უწევს ცხოვრება: ამ უვიცობის თანამონაწილენი არიან მსხვილი საინფორმაციო ორგანოები, რომლებიც ნაკლებად საუბრობენ – თუ არ ჩავთვლით გამონაკლის შემთხვევებს – დაბალგანვითარებული სამყაროს პრობლემებზე.

ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედებს მამაკაცებისა და ქალების რელიგიური კონგრეგაციები, საერო პირების ორგანიზაციები, როგორიცაა მაგალითად "ექიმები საზღვრებს გარეშე", მორწმუნენი და არამორწმუნენი, ჯგუფები თუ ინდივიდები, რომლებიც დიდი მსხვერპლის ფასად – თვით სიცოცხლის ფასადაც – ასრულებენ შეუდარებელი ღირსების საქმეს *მესამე სამყაროს* დასახმარებლად. მდიდარი ქვეყნების ხელისუფლება ხალხთა დასახმარებლად ძლივს იმეტებს 0,7%-ს საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებებიდან. *მესამე სამყაროს* ბავშვთა პრობლემების გადაჭრა კი თავისუფლად შეიძლება თანდათანობით, როგორც ამას აცხადებს *ბავშვთა უფლებების კონვენცია*. სამწუხაროდ, დღევანდელ სამყაროს აკლია კეთილი ნება, საჭიროა აკეთონ საქმე და გასცდნენ იმ ლამაზ სიტყვებს, რაც ბავშვების მისამართით წერია მსოფლიო დეკლარაციებში. დიდი სინანულით უნდა ითქვას, რომ დღეს ბავშვები იგნორირებულნი და ბედის ანაბარად არიან მიტოვებულნი.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი